სპორტი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 20 ივნისი 2003 №113 (1884) | ფასი 50 თეთრი

კახა კალაძე საუკეთესო ქართველია



ჩემპიონთა ლიგის მოგებამ მილანის ქართველმა მცველმა ზედიზედ მესამედ სპორტის გამოკითხვაც მოიგო



კალაძის ბიოგრაფია ჩვენთვის უპირველეს ყოვლისა ლოზუნგია: თქვენ ეს შეგიძლიათ! გაიგეთ, ქართველებო, თურმე უბრალო სამტრედიელი ბიჭისთვის სულაც არ არის წარმოუდგენელი ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფი. შეხედეთ, თბილისელო, ქუთაისელო, თელაველო, გორელო, ზესტაფონელო, ლანჩხუთელო, ბათუმელო, ზუგდიდელო ბავშვებო. ეს კაცი, ჩემპიონთა თასით ხელში, თქვენგან არაფრით განსხვავდებოდა. ისიც ჯიხურებს შორის ცხოვრობდა, ოღონდ უმაღლეს მიზნად ჯიხური არ დაუსახავს. გაიხედეთ, ჰე, მსოფლიო რამხელაა და რამდენი მიზანია მისაღწევი!

ზურაბ იონანიძე

საქართველოს XIV ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი



სარბიელის გამოკითხვა





„სარბიელმა“ მეთერთმეტედ მოაწყო სპორტულ ჟურნალისტთა გამოკითხვა, რომლის მიზანიც ტრადიციული — საქართველოსა და ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეთა გამოვლენა გახლდათ.

გულახლილად ვიტყვი: წლევანდელი გამოკითხვა ალბათ ყველაზე ნაკლებსაინტერესო იყო იმ თვალსაზრისით, რომ კახა კალაძის საუკეთესოობაში ეჭვი იმთავითვე არავის ეპარებოდა. 48 გამოკითხული ჟურნალისტიდან 45-მა მას პირველი ადგილი მიანიჭა.

თუ ამ სეზონში კალაძის „მილანში“ თამაშს თვალს ადევნებდით, რუსეთის ნაკრებთან მატჩი ხომ, ცხადია, ნანახი გაქვთ, ამგვარი არჩევანის სისწორეში ალბათ ეჭვი არ შეგეპარებათ.

და უფრო მნიშვნელოვანი კი ალბათ ის არის, რომ კახა კალაძე ზედიზედ მესამედ გახდა საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი, რაც თავისთავად „ბალონ დორის“ ნიშანს და მით უმეტეს, მცველისთვის — მცველებს ხომ საზოგადოდ გამოკითხვებისას არ სწყალობენ.

კალაძის გარდა პირველი ადგილები ერგოთ ზურაბ ხიზანიშვილს და მალხაზ ასათიანს. სხვათა შორის, შარშანწინდელ გამოკითხვაში ხიზანიშვილი ერთადერთი ფეხბურთელი იყო, რომელმაც ჭელები ორივე ნომინაციაში ირგუნა. მაშინ მან ნახევარი სეზონი „ლოკომოტივში“ გაატარა.

შარშან ასეთები სამნი უკვე იყვნენ და წლეულსაც სამნი არიან: მალხაზ ასათიანი, გიორგი ლომაია და დავით კვირკველია. ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ კი 25 გოლის გამტანი ზურაბ იონანიძე დასახელდა.

საქართველოს 2002-03 წლების საუკეთესო ფეხბურთელი

			I	II	III	ქულა
1	კახა კალაძე	მილანი (იტალია)	45	2	1	232
2	ზურაბ ხიზანიშვილი	დანდი (შოტლანდია)	2	23	14	93
3	შოთა არველაძე	რეინჯერსი (შოტლანდია)	—	10	6	36
4	ლევან კობიაშვილი	ფრაიბურგი (გერმანია)	—	8	11	35
5	მალხაზ ასათიანი	ტორპედო/ლოკომოტივი (რუსეთი)	1	2	7	18
6	ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი (გერმანია)	—	1	1	4
7	გიორგი ლომაია	ლოკომოტივი თბილისი	—	—	2	2
8	გიორგი დემეტრაძე	მ. დონეცკი (უკრაინა)	—	—	1	1
	გიორგი ნემსაძე	დანდი (შოტლანდია)	—	—	1	1
	მიხეილ აშვეთია	სპარტაკ-ალანია (რუსეთი)	—	—	1	1
	დავით კვირკველია	დინამო	—	—	1	1

საქართველოს XIV ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი

			I	II	III	ქულა
1	ზურაბ იონანიძე	ტორპედო	15	10	6	111
2	გიორგი ლომაია	ლოკომოტივი	11	11	11	99
3	დავით კვირკველია	დინამო	3	2	7	28
4	ვიტალი დარასელია	დინამო	4	2	1	27
5	კარლოს დარიჩა	დინამო	2	3	7	26
6	დავით სირაძე	ლოკომოტივი	2	2	6	22
7	ოთარ ხიზანეიშვილი	დინამო	1	4	1	18
8	რატი ალექსიძე	დინამო	3	—	1	16
9	მალხაზ ასათიანი	ტორპედო/ლოკომოტივი (რუსეთი)	3	—	—	15
10	გიორგი ანჩაბაძე	დინამო	1	3	—	14
11	ლევან მელქაძე	ვიტ ჯორჯია	—	4	1	13
12	გიორგი შაშიაშვილი	დინამო	—	1	2	5
13	ვლადიმერ ბურდული	დინამო	—	1	—	3
	თორნიკე აფციაური	მერანი-ოლიმპი	—	1	—	3
15	ალექსანდრე გოგობერიშვილი	დინამო	—	—	1	1

სარბიელის წინა ათი გამოკითხვის გამარჯვებულები

1992-93	გიორგი ქინქლაძე	1997-98	შოთა არველაძე
1993-94	შოთა არველაძე	1998-99	ზაზა ჯანაშია
1994-95	აკაკი დევაძე	1999-00	ლევან კობიაშვილი
1995-96	გიორგი ქინქლაძე	2000-01	კახა კალაძე
1996-97	თეიმურ ქეცბაია	2001-02	კახა კალაძე

მიხეილ აბაიშვილი	24 საათი
გიო ახვლედიანი	სარბიელი
ილია ბაბუნაშვილი	სარბიელი
თამაზ ბოკერია	იმედი
ვახტანგ ბზიკაძე	uefa.com/Reuters
ლაშა გოდუაძე	ფეხბურთი
აკაკი გვიმრაძე	რეზონანსი
გურანდა გურასაშვილი	იბერია
ბიძინა დარჩია	ტვ-ფაზისი
გიორგი დარჯანია	სარბიელი
დავით ერაძე	„დინამოს“ პრესსამსახური
გია ეჯიბია	ტვ-ფაზისი
გიორგი ვაშაკიძე	სარბიელი
ლაშა თაბაგარი	სპორტი
დავით თავართქილაძე	სარბიელი
კობა ინასარიძე	სარბიელი
ალექსანდრე კაკაურიძე	ოლიმპი
ბადრი კეთილაძე	სარბიელი
ფრიდონ კერვალიშვილი	ხვალინდელი დღე
მამუკა კვანტალიანი	სარბიელი
პაატა კვანტალიანი	სარბიელი
დავით კოვზირიძე	ახალი ეპოქა
სოსო კოტორრეიშვილი	სარბიელი
მერაბ მამულაშვილი	სპორტი
დავით მინაშვილი	რადიო,Iარხი
გივი მომცელიძე	სპორტი
მამუკა ნაცვალაძე	რეზონანსი
გიორგი ნოზაძე	11X11
დიმიტრი ობოლაძე	რუსთავი 2
თენგიზ პაჭკორია	იტარ-ტასი
გია პლატონიშვილი	საქართველოს რესპუბლიკა
მიხეილ საბახტარაშვილი	ლელო
ლევან სალუქვაძე	„დინამოს“ პრესსამსახური
გია ტუხაშვილი	მთავარი გაზეთი
დავით ყენია	ოლიმპი
კახა შალამბერიძე	სარბიელი
რევაზ შენგელია	სფფ-ის პრესსამსახური
დავით ცაბაძე	სპორტი
სანდრო ცნობილაძე	იმედი
ზაზა წულაძე	Papress Association
ჯემალ ჭიპაშვილი	ოლიმპი
ვაჟა ხუციშვილი	სარბიელი
გოჩა ჯანაშია	სარბიელი
თემურ ჯაფარიძე	Iარხი
ალექსანდრე ჯიბლაძე	იმედი
გიორგი ჯინჭველაშვილი	ოლიმპი
მიხეილ ჯორბენაძე	მეცხრე არხი
ნუგზარ ჯუღელი	Iარხი

საქართველოს 2002-03 წლების საუკეთესო ფეხბურთელი

კალაძე	შ. არველაძე	ხიზანიშვილი
ასათიანი	კალაძე	ხიზანიშვილი
კალაძე	ხიზანიშვილი	კობიაშვილი
ხიზანიშვილი	იაშვილი	კალაძე
კალაძე	ხიზანიშვილი	ასათიანი
კალაძე	კობიაშვილი	ხიზანიშვილი
კალაძე	კობიაშვილი	ხიზანიშვილი
კალაძე	ხიზანიშვილი	ასათიანი
კალაძე	კობიაშვილი	კვირკველია
კალაძე	ხიზანიშვილი	კობიაშვილი
კალაძე	ხიზანიშვილი	შ. არველაძე
კალაძე	კობიაშვილი	ხიზანიშვილი
კალაძე	ხიზანიშვილი	ასათიანი
კალაძე	კობიაშვილი	ხიზანიშვილი
კალაძე	შ. არველაძე	ხიზანიშვილი
კალაძე	შ. არველაძე	ხიზანიშვილი
კალაძე	შ. არველაძე	ხიზანიშვილი
კალაძე	კობიაშვილი	ხიზანიშვილი
ხიზანიშვილი	კალაძე	დემეტრაძე
კალაძე	ხიზანიშვილი	შ. არველაძე
კალაძე	ასათიანი	ხიზანიშვილი
კალაძე	ხიზანიშვილი	კობიაშვილი
კალაძე	ხიზანიშვილი	კობიაშვილი
კალაძე	ხიზანიშვილი	შ. არველაძე
კალაძე	ხიზანიშვილი	კობიაშვილი
კალაძე	ხიზანიშვილი	ლომაია
კალაძე	ხიზანიშვილი	ლომაია
კალაძე	ხიზანიშვილი	კობიაშვილი
კალაძე	შ. არველაძე	ასათიანი
კალაძე	ხიზანიშვილი	აშვეთია
კალაძე	კობიაშვილი	ხიზანიშვილი
კალაძე	ასათიანი	შ. არველაძე
კალაძე	—	—
კალაძე	შ. არველაძე	ხიზანიშვილი
კალაძე	ხიზანიშვილი	შ. არველაძე
კალაძე	ხიზანიშვილი	ასათიანი
კალაძე	ხიზანიშვილი	ასათიანი
კალაძე	ხიზანიშვილი	შ. არველაძე
კალაძე	კობიაშვილი	იაშვილი
კალაძე	ხიზანიშვილი	კობიაშვილი
კალაძე	შ. არველაძე	ხიზანიშვილი
კალაძე	ხიზანიშვილი	კობიაშვილი
კალაძე	ხიზანიშვილი	ასათიანი
კალაძე	—	—
კალაძე	შ. არველაძე	კობიაშვილი
კალაძე	ხიზანიშვილი	კობიაშვილი
კალაძე	შ. არველაძე	კობიაშვილი
კალაძე	შ. არველაძე	ნემსაძე

საქართველოს XIV ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი

ლომაია	მელქაძე	კარლოსი
—	—	—
—	—	—
ალექსიძე	ბურდული	ხიზანეიშვილი
იონანიძე	კარლოსი	ლომაია
ანჩაბაძე	იონანიძე	შაშიაშვილი
ლომაია	იონანიძე	კარლოსი
დარასელია	შაშიაშვილი	ლომაია
კვირკველია	ლომაია	იონანიძე
—	—	—
დარასელია	ხიზანეიშვილი	კვირკველია
ასათიანი	ლომაია	იონანიძე
ლომაია	იონანიძე	კარლოსი
იონანიძე	მელქაძე	კვირკველია
იონანიძე	დარასელია	გოგობერიშვილი
სირაძე	იონანიძე	ალექსიძე
იონანიძე	ლომაია	სირაძე
იონანიძე	კარლოსი	ლომაია
იონანიძე	ლომაია	შაშიაშვილი
იონანიძე	მელქაძე	დარასელია
იონანიძე	კარლოსი	ლომაია
ლომაია	ანჩაბაძე	იონანიძე
იონანიძე	ლომაია	კარლოსი
ლომაია	ხიზანეიშვილი	იონანიძე
კარლოსი	ლომაია	მელქაძე
ლომაია	იონანიძე	კვირკველია
ლომაია	კვირკველია	კარლოსი
ალექსიძე	იონანიძე	სირაძე
იონანიძე	ანჩაბაძე	ლომაია
ლომაია	ხიზანეიშვილი	იონანიძე
კარლოსი	სირაძე	იონანიძე
იონანიძე	მელქაძე	სირაძე
დარასელია	ლომაია	კვირკველია
ალექსიძე	ანჩაბაძე	ლომაია
ლომაია	იონანიძე	სირაძე
იონანიძე	ლომაია	კარლოსი
იონანიძე	ლომაია	კარლოსი
ხიზანეიშვილი	ლომაია	კვირკველია
დარასელია	კვირკველია	ლომაია
კვირკველია	დარასელია	სირაძე
იონანიძე	ლომაია	სირაძე
ლომაია	იონანიძე	კვირკველია
კვირკველია	იონანიძე	ლომაია
ასათიანი	—	—
ასათიანი	იონანიძე	ლომაია
იონანიძე	ხიზანეიშვილი	ლომაია
სირაძე	აფციაური	ლომაია
ლომაია	სირაძე	კვირკველია

კაცი, რომელიც საქართველოს ძალიან სჭირდება

ძალიან ადვილი გასაგებია, როდესაც ამა თუ იმ ქვეყანაში, გნებავთ, კონტინენტზე და სულაც მთელს მსოფლიოში (თუმც ასეთი რამ არ მომხდარა) ზედიზედ სამჯერ საუკეთესო ფეხბურთელად თავდამსხმელს ან ნახევარმცველს ასახელებენ, მაგრამ თუ სამგზის უმჯობესად მცველი ან მეკარე სახელდება, ბუნებრივად ჩნდება კითხვებიც. და, ბარემ, თავის დაზღვევისთვის აქვე ვთქვათ, რომ გენიოსებზე არ ვლაპარაკობთ.

მართლაც, რა უნდა ქნას ასეთი მცველმა, რომ ზედიზედ სამი წლის განმავლობაში ამჯობინონ იმ ფეხბურთელებს, რომელთაც მეტოქეთა კარში გოლები გააქვთ? სწორად გაგვიგეთ, ეს არც ჩვენი ბრალია და არც მცველების თუ მეკარეების, ეს ადამიანის ფსიქიკის ბრალია — პრინციპულ თამაშში მეტოქის კარში გატანილი ერთი გოლი გაცილებით მეტ დადებით ემოციას იწვევს, ვიდრე მეკარის მიერ მთელი სეზონის განმავლობაში მოგერიებული დარტყმები ან მცველის მიერ მთელი სეზონის განმავლობაში ჩაჭრილი პასები.

და მაინც, როდესაც საქმე გამოკითხვაზე მიდგება, საუკეთესოდ მცველს ასახელებენ.

შორიდან შესაძლოა ეს უცნაურად ჩანდეს და კაცს აფიქრებინოს, რომ ასეთ ქვეყანაში ან პრინციპული თამაში არასდროს მოუგიათ ან სულ ერთი ნამდვილი ფეხბურთელი ჰყავთ, სხვები კი რაღაცას მოყვარულობენ.

ჩვენთან, საქართველოში, ნამდვილი ფეხბურთელი ერთზე მეტია, აი, პრინციპული თუ ჩვეულებრივი, ოღონდ საჭირო თამაშების მოგებისა კი რა მოგახსენოთ, აქ ციფრ ერთს ნამდვილად ვერ გავცდებით. ერთი სიტყვით, ვითარება ცოტა სპეციფიკურია, მაგრამ კაცს, ვისაც ეს წერილი ეძღვნება და გულწრფელი ტაში ეკუთვნის, გარჯას და მიღწევებს არ უკნინებს. მას, უბრალოდ, სპეციფიკურ დროებაში ცხოვრება და სპეციფიკური ფუნქციის კისრება მოუხდა — თანამემამულეებს და მომავალ თაობებს პროფესიონალიზმის მაგალითს აძლევს, ველურ ბუნებაში, ჯუნგლებში გზას კაფავს და თან ძალიან თვალსაჩინოდ, მან ხომ ჩემპიონთა ლიგა მოიგო.

კახა კალაძე სულ ყმაწვილი არ შეუშინდა ვალერი ლობანოვსკის კიევის „დინამოში" გადასვლას, იქაურ, „არაქართულ" დატვირთვებს და თავი რომ ამოწურა, „მილანს" შესწვდა. გესმით, რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ მას გონება აქვს სხვანაირად, „არაქართულად" მოწყობილი. მან სრულებით სწორად გამოიყენა ბუნების ბოძებული ფიზიკური მონაცემები და სწავლას არ გაერიდა. ორი კაპიკი რომ იშოვა, გადატანით რომ ვთქვათ, აქ კი არ დაბრუნდა რამდენიმე ჯიხურის ჩასადგმელად ან მარშრუტკის ხაზის დასათრევად, კიდევ უფრო მეტის სწავლაზე იფიქრა და ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთ გრანდში მოხვდა. მან დაამტკიცა, რომ სწავლას აზრი აქვს... ქართველისთვისაც კი.

პარადოქსი: ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული კახა კალაძე იმ ქვეყნიდანაა, რომლის ნაკრებს ბოლო წლებში მხოლოდ ერთი ნამდვილი თამაში აქვს მოგებული, ანუ მუდმივად დამარცხებული კალაძე უდიდესი გამარჯვებულია. და, ვიმეორებთ, ეს არ არის ის ქვეყანა, სადაც ფეხბურთს მხოლოდ ის თამაშობს ან მხოლოდ ის გამოერია ერთი ნიჭიერი.

ნუთუ ყველაფერი ამ დაწყევლილი ჯიხურების და მარშრუტკის ხაზების ბრალია? ნუთუ აქ ახალგაზრდების ოცნება საკუთარი სამწვადის გახსნას არ სცილდება?

გარწმუნებთ, სცილდება... გაცილდება! რადგან ჩვენ უკვე გვყავს კახა კალაძე, რომელიც თავისი კარიერით საპირისპიროს უმტკიცებს მომავალ თაობას. კალაძის ბიოგრაფია ჩვენთვის უპირველეს ყოვლისა ლოზუნგია: თქვენ ეს შეგიძლიათ! გაიგეთ, ქართველებო, თურმე უბრალო სამტრედიელი ბიჭისთვის სულაც არ არის წარმოუდგენელი ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფი. შეხედეთ, თბილისელო, ქუთაისელო, თელაველო, გორელო, ზესტაფონელო, ლანჩხუთელო, ბათუმელო, ზუგდიდელო ბავშვებო. ეს კაცი, ჩემპიონთა თასით ხელში, თქვენგან არაფრით განსხვავდებოდა. ისიც ჯიხურებს შორის ცხოვრობდა, ოღონდ უმაღლეს მიზნად ჯიხური არ დაუსახავს. გაიხედეთ, ჰე, მსოფლიო რამხელაა და რამდენი მიზანია მისაღწევი.

და სწორედ ამიტომ გახდა მცველი საქართველოს სამგზის საუკეთესო. კახა კალაძე სწავლობს და ვითარდება მისი ცხოვრების უდიდესი დრამების, აღმავლობების თუ უიღბლობების დროს. მან იცის, საით მიდის დიდი გზა და ამ ცოდნისთვის სამგზის საუკეთესოობა კი არა, ლამის განმანათლებელთა შორის მოხსენიება ეკუთვნის.

პაატუნა ძიდია



გაგიო ქართველის ფოტო

კახა კალაძე ჩემპიონთა ლიგის ბედნიერ ფინალში

კალაძის საიდუმლო

სამგზის საუკეთესოს სამი საუკეთესო



გაგიო ქართველის ფოტო

კახა კალაძე საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელია! ვითომ ახალი ვთქვით რამე? არაფერი, ახალი მხოლოდ ისაა, რომ კახა კალაძე ზედიზედ მესამედ გახდა ქართველი სპორტული ჟურნალისტების რჩეული, ასეთი პატივი კი აქამდე არც ერთ ჩვენიანს არ რგებია.

რეფერენდუმში ზედიზედ მესამედ გამარჯვებულ ფეხბურთელთან ალბათ ინტერვიუც სხვანაირი, გამორჩეული უნდა იყოს, მაგრამ ამჯერად ეს ვერ მოხერხდა — კახას მილანში ტელეფონით ვესაუბრეთ. თუმც მომავალ კვირაში ვეცდებით, ჩვენი საუკეთესო ცოტა სხვა კუთხით, სხვა თვალით დაგანახოთ... ეს სახელდახელო ინტერვიუ კი ტრადიციული ორი კითხვით დავიწყეთ

— ჩემპიონთა ლიგა მოიგე და ალბათ ელოდი კიდეც საქართველოში საუკეთესოობას.

— ამაზე ბევრი არც მიფიქრია, თუმც ერთი-ორჯერ გულში კი გამკრა, ალბათ, საუკეთესოდ დამასახელებენ-მეთქი. თქვენი საქმეა საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენა. დიდი მადლობა, რომ „სარბიელის" პრიზს ამჯერადაც მე გადმომცემთ.

— შენთვის რომ გვეკითხა, როგორ სამეულს დაასახელებდი?

— ვერაფერს გეტყვით, მიჭირს გამორჩევა.

— როგორ ფიქრობ, კარიერაში საუკეთესო სეზონი გქონდა?

— ნამდვილად საუკეთესო სეზონი იყო. უმაღლეს დონეზე ვიყავი, თამაში არ ჩამიგდია. შარშანდელთან შედარებით უფრო თავდაჯერებული გავხდი, დავოსტატდი. გარდა ამისა, ორი დიდი ტიტულის მფლობელი ვარ, იტალიის თასი და ჩემპიონთა ლიგა მოვიგე. ევროპის ჩემპიონობაზე კი ძალიან ბევრი ოცნებობს.

— ამბობენ, კალაძემ უკვე პიკს მიაღწიაო...

— საერთოდ, ცხოვრებაში კაცს მიღწეული არ აკმაყოფილებს და სულ წინსვლაზე ფიქრობს. ასეა ფეხბურთშიც. ჩემი წარმატებები მაინც არ მაკმაყოფილებს და კიდევ უფრო ზემოთ ვიყურები. ყოველდღიურად ვცდილობ, თამაში გავაუმჯობესო.

— შენთვის საუკეთესო თამაში წლეულს რომელი იყო?

— რამდენიმეს გეტყვით. „რეალთან" მილანური მატჩი, „ინტერთან" ნახევარფინალის პირველი შეხვედრა და, რა თქმა უნდა, ჩემპიონთა ლიგის ფინალი „იუვენტუსთან". ამათთან მართლაც რომ კარგად ვითამაშე.

— უარესად?

— ვერ გეტყვით, უნდა დავფიქრდე.

— ყველაზე დიდი იმედგაცრუება სეზონში?

— როცა სკუდეტოს მოგების შანსი დავკარგეთ, ძალიან ვინერვიულე. ზუსტად აღარ მახსოვს, მაგრამ ჩემპიონატის დამთავრებამდე რამდენიმე ტურით ადრე მივხვდით, რომ „იუვენტუსს" ვერ შევეცილებოდით. მაშინ საშინლად იმედგაცრუებული ვიყავი.

— ყველაზე სასიხარულო წუთი?

— როცა შევჩენკომ ბუფონს პენალტი გაუტანა, მეცხრე ცაზე ავფრინდი. ენით ვერ გადმოგცემთ ჩემს მაშინდელ განცდას. ახლაც კი ეიფორიაში ვარ.

— შეგვიმჩნევია, რომ მატჩის დაწყებამდე მარცხენა მკლავზე შავ ზონარს იკეთებ. ეს რაიმეს ნიშანია, თილისმა თუ...

— საიდუმლოა, ვერ გეტყვით. თილისმად ჩათვალეთ.

— ახლა, როცა სეზონი დამთავრდა, სად აპირებ დასვენებას?

— მონტე კარლოში უკვე ვიყავი. ორშაბათს თბილისში ჩამოვალ, მერე კი კვლავ სადმე გავემგზავრები.

— საქართველოს სამგზის საუკეთესო ფეხბურთელი ქართველ ქომაგს რას ეტყვის?

— ეტყვის, რომ მთელ წარმატებებს მას უძღვნის. მე ვამაყობ ჩემი ქართველობით და ჩემი ქომაგით. ვისურვებდი საქართველოს ნაკრების წარმატებას, ვისურვებდი ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე თამაშს. ვფიქრობ, ირლანდიასთან მატჩმა ყველას დაანახა, რომ თამაში ყველასთან შეიძლება. ირლანდია, ირლანდიაო, გაიძახოდნენ, აი, ირლანდია, ჩვენთან შეხვედრისას კარში ხეირიანად არც დაურტყამთ. ორმა შეცდომამ წაგვაგებინა, თორემ ნახავდნენ ჩაფლავებულ ირლანდიელებს. დღეს სახელები აღარ თამაშობენ. იგებს ის, ვინც იბრძვის. ჩვენც უნდა ვიბრძოლოთ, ჩვენ ვიცით ბრძოლა...

ძოგა ინასარიძე

კახა კალაძე							
27.02.78							
93-94	სამტრედია	A	3	–			
	დინამო	A	1	–			
94-95	დინამო	A	9	1	UC	–	–
95-96	დინამო	A	23	–	UC	1	–
	დინამო 2	B	1	–			
96-97	დინამო	A	27	–	UC	4	–
97-98	დინამო	A	11	–	UC	7	–
	დინამო (კიევი, უკრაინა)	A	13	2			
98-99	დინამო (კიევი, უკრაინა)	A	26	3	CHL	12	1
99-00	დინამო (კიევი, უკრაინა)	A	25	1	CHL	14	1
00-01	დინამო (კიევი, უკრაინა)	A	8	–	CHL	7	1
	მილანი (იტალია)	A	17	3			
01-02	მილანი (იტალია)	A	30	4	UC	9	–
02-03	მილანი (იტალია)	A	27	–	CHL	15	–

A/B - ქროვნული ლიგა; CHL - ჩემპიონთა ლიგა; UC - უეფას თასი

საქართველოს XIV ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი

ქუთაისის „ტორპედოს“ ან უკვე ყოფილი თავდამსხმელი ზურაბ იონანიძე ქართული სპორტული მედიის აზრით, მეთოთხმეტე ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. სიმართლე ვთქვათ, ეს არც იყო გასაკვირი. „ტორპედოს“ „ვერცხლის სეზონი“ სწორედ მისი კაპიტნისა და ლიდერისთვის გამოდგა ოქროსფრად შეფერილი — 31 წლის „იონა“ თითქმის მარტოდმარტო მიათრევდა შესუსტებულ გუნდს...

ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებამდე კი ზურამ ერთი ტიტულის მოპოვებაც მოასწრო — ის მეთოთხმეტე ეროვნულის საუკეთესო ბომბარდირი გახდა 25 გატანილი გოლით.

ახლა იონანიძე უკრაინაშია. მას სიმფერეპოლის „ტავრიამ“ დაადგა თვალი და როცა გუშინ ზურას საუკეთესო ფეხბურთელობა მივულოცეთ, ერთი მისალოცი ამბავიც დაგვახვედრა: „ტავრიამ“ „იონას“ ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

დანარჩენს კი ინტერვიუში შეიტყობთ. მაშ ასე, „სარბიელი“ და საქართველოს მეთოთხმეტე ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი:

ახალი ამბავი და ახალი კონტრაქტი იონანიძისთვის

მეთოთხმეტეს საუკეთესო ტავრიამ ორი წლით წაიყვანა

ზურაბ იონანიძე „ტორპედოს“ გოლს

— თავს უბედნიერეს ადამიანად ვთვლი. ძალიან გამიხარდა, რომ საუკეთესოდ სწორედ მე მაღიარეს. დიდი მადლობა მათ, ვინც ასეთი სიხარული მომანიჭა.

— ელოდი ასეთ აღიარებას?

— ვერ დავმალავ, რომ მართლაც ველოდი. ვფიქრობ, ეს პრიზი დავიმსახურე.

— თავად ვის დასახელებდი საუკეთესოდ?

— მიჭირს თქმა, მაგრამ ალბათ მაინც გიორგი ანჩაბაძე იყო გამორჩეული.

— როგორი იყო შენთვის ეს სეზონი?

— უკმაყოფილების საბაბი ნაღდად არ მაქვს. ყოველ ტურში ვცდილობდი, კარგად მეთამაშა და ჩემი დამემტკიცებინა. ალბათ, ეს გამოჩნდა კიდეც სეზონის ბოლოს. ბომბარდირიც გავხდი და აგერ, საუკეთესო ფეხბურთელადაც მაღიარეს.

— ასეთ აღიარებას ველოდიო, თქვი. როდის მიხვდი, რომ ეს სეზონი შენი იყო?

— მეორე ეტაპისას. განსაკუთრებით ბოლო ტურებში ვითამაშე ძალიან კარგად. ამ მატჩებით მართლა კმაყოფილი ვარ. ვფიქრობ, სწორედ ამან შეიტანა ლომის წილი ჩემს წარმატებაში.

— „ტორპედოს“ თამაშზე რაღას იტყვი? თქვენ ხომ ჩემპიონობა დაკარგეთ...

— ცხადია, ჩემპიონობა გვინდოდა, მაგრამ ყველა გრძნობდა, რომ ძალიან გაგვიჭირდებოდა. საბოლოოდ ასეც მოხდა. ჩვენ ჩემპიონობა დაკარგეთ. საწყენია, მაგრამ ვფიქრობ, „დინამო“ დამსახურებულად გახდა ჩემპიონი. ეს გუნდი საუკეთესო იყო.

— მაინც რა იყო ამის მიზეზი? რითი გაჯობათ „დინამომ“?

— ალბათ, შემადგენლობით. შუა სეზონში ისეთი მოთამაშეები დაგვაკლდა, რომ... მალხაზ ასათიანი, გივი დიდავა და რევაზ ქემოკლიძე ძალიან დიდი ძალა იყო ჩვენთვის. ეს ფეხბურთელები რომ არ წასულიყვნენ, მეეჭვება, ჩემპიონი „დინამო“ გამხდარიყო.

— პირობებმა არ შეგიშალათ ხელი? ბევრი ამბობს, რომ წლეულს „ტორპედოში“ შარშანდელზე გაცილებით უარესი პირობები იყო...

— როცა მოედანზე სათამაშოდ გადიხარ, ფული მეორეხარისხოვანი ხდება. ჩემი საქმე ფეხბურთის თამაშია და ამის შემდეგ ფული. რა თქმა უნდა, „ტორპედოს“ რომ უკეთესი პირობები ჰქონოდა, საქმე სხვაგვარად აეწყობოდა. მაგრამ პირდაპირ ვთქვათ: ჩვენ რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ. გავედით მეორე ადგილზე და ამით უკმაყოფილო არავინ დარჩენილა. ვერცხლის მედლები და უეფას თასის საგზური ჩვენთვის კარგი შედეგია.

— სეზონის დასრულების შემდეგ „ტორპედო“ დატოვე...

— კლუბთან კონტრაქტი დამიმთავრდა და მეც გადავწყვიტე კარიერა უცხოეთში გავაგრძელო.

— და სიმფეროპოლის „ტავრიას“ მიაშურე...

— სხვათა შორის, დღეს გავაფორმე „ტავრიასთან“ ორწლიანი კონტრაქტი. ჩათვალეთ, უკვე ამ გუნდის წევრი ვარ.

— უკვე 31 წლის ხარ. ხომ არ დაგიგვიანდა უცხოეთში წასვლა?

— კი, ეს მართლაც ასეა. აშკარად დავაგვიანე.

— უცხოეთში აღრეც გითამაშია. საქართველოში რატომ დაბრუნდი? ამით ბევრი ხომ არ დაკარგე?

— ვერ ვიტყვი, რომ ბევრი დავკარგე. მით უმეტეს, სამჯერ ქვეყნის ჩემპიონი გავხდი, საუკეთესო ბომბარდირი და აგერ, დღეს საუკეთესო ფეხბურთელადაც დამასახელეს.

— ხომ არ ფიქრობ, რომ „ტავრიაზე“ უკეთეს გუნდში შეგეძლო თამაში?

— როგორ არ შემეძლო...

— მაშინ რატომ მაინცდამაინც „ტავრია“?

— ასე გამოვიდა და, ვფიქრობ, ბევრი არ დამიკარგავს. „ტავრიაც“ არაა ურიგო გუნდი.

— საქართველოს ნაკრებში ოდენ სამი მატჩი ჩაატარე...

— აი, ეგ არის ჩემი ყველაზე დიდი მინუსი. რატომღაც ნაკრებში ხეირიანად თამაში არ მელირსა. ძალიან მწყდება გული, რომ შანსი არ მომცეს. ეტყობა, მწვრთნელები ვერ მამჩნევდნენ ან მე არ ვიყავი ნაკრებისთვის საჭირო.

— კიდევ გაქვს ნაკრებში მიწვევის იმედი?

— რა თქმა უნდა. „ტავრიაშიც“ იმიტომ წამოვედი, რომ ნაკრების მწვრთნელებს მოვაწონო თავი. საქართველოში თამაშით მგონი, უკვე დავამტკიცე, რომ ნაკრებში მიწვევის ღირსი ვიყავი. ახლა ჯერი უცხოეთზეა, იქნებ ამან მაინც შემიწყოს ხელი.

— რამდენ ხანს აპირებ კიდევ თამაშს?

— თუ ყველაფერი კარგად იქნება, ალბათ დაახლოებით ხუთი წელი კიდევ ვითამაშებ. რაც მთავარია, ჯანზე ვარ და არაფერს ვუჩივი.

ძახა შალამბერიძე

ბავშვი ნახო მობურთალი...

ბოლო დროს ხშირად მოისმენთ მაღალფარდოვან სიტყვებს, თუ ფეხბურთის აყვავება გვსურს, არეული ვითარების გამოსწორება მოზარდთა შეჯიბრებებიდან დავიწყოთო. აიტაცებენ ნათქვამს, დაიწყება გულზე მჯიღის ცემას და საქმე საქმეზე რომ მიდგება, ნახავ, ბევრიც არაფერია გაკეთებული. არეულ ვითარებას ვინ ჩივის, ჩვენში მოზარდთა ტურნირებზე სრული ანარქია სუფევს და დღემდე უმსხვერპლოდ რომ მოვაღწიეთ, უფალს უნდა ვუმადლოდეთ.

გუნდური ჩხუბის საქმე არაერთხელ გარჩეულა სადისციპლინო კომიტეტის სხდომებზე. ერთხელ ვიღაც გადარეული მანქანით შევარდნილა მოედანზე და ბავშვებს ისე გამოსდევნია, როგორც „აბა, დამაცადეს“ ერთ-ერთ სერიაში მგელი ქათმებს. ხშირად მსაჯებს მისდევენ და უფრო ხშირად სტუმრად ნაწვევ პატარებს. გუშინ კი ისეთი რამეები მოვისმინეთ, თმები ყალყზე დაგვიდგა. ქუთაისში მასპინძელთა გუნდის გულშემატკივარი თამაშისას მოედანზე შეიჭრა და სტუმარ ბავშვებს უმოწყალოდ ცემა დაუწყო. მატჩის დამთავრებამდე იგივე ფაქტი კიდევ ერთხელ განმეორებულა. თბილისში სულაც იარაღის ტრიალით შევარდა ვიღაც შლეგიანი მოედანზე და იოლი წარმოსადგენია, რა დღეში ჩაცვივდებოდნენ პატარა მობურთალები.

მსგავსი რამ დედაქალაქში და სიდიდით მეორე ქალაქში რომ მოხდება, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, პერიფერიებში რა ამბებიც ტრიალებს.

სადისციპლინო კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე გასარჩევი სხვაც იყო, მაგრამ ზემოთ ნახსენებმა ორმა ამბავმა თითქმის ორი საათი წაიღო, დანარჩენი საკითხების განხილვას კი ხუთიოდ წუთი ეყო.

15 ივნისს ქუთაისში, მიხეილ მესხის თასის მეოთხედფინალის სასასუხო მატჩში, მასპინძელი „კოლხიდა 87“ თბილისის „მარდის“ წაქცევას ცდილობდა. ერთი კვირის წინ დედაქალაქელებს 3:2 მოეგოთ ქუთაისელებისთვის, გამგზავრებამდე რიონისპირული გუნდის მწვრთნელს მასპინძლებისთვის დუმარცია, იცოდეთ, ქუთაისში დიდი ომი გელითო და სასასუხო მატჩი მართლა ომი გამოდგა.

ცნობისთვის, „მარდი“ ის გუნდია, რომელიც ორი წელიწადია, ჩამოყალიბდა, პატრონ-მყვარებელი თავზე ეკლება, მწვრთნელებად სერიოზული სპეციალისტები ჰყავს, ამ ხნის მანძილზე მატჩიც არ წაუგია და ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, შეგნებულად თამაშობს ერთი წლით უფროსი ასაკის გუნდებთან.

„მარდი“ არც ქუთაისში შედრკა, თავიდან მეტოქეს ორი გოლი გაუტანა და, როგორც ქუთაისის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი მანგაძემ განაცხადა, ბოლომდე სრულ სათამაშო უპირატესობასაც ფლობდა.

მეორე ტაიმის დასრულებამდე თორმეტიოდე წუთი რჩებოდა, როცა „კოლხიდამ“ ერთი გოლი პენალტით გაქვითა. სტუმრებმა ბურთი კარიდან გამოიტანეს და ნელა დაიძრნენ ცენტრისკენ. მასპინძლებმა მათი დაჩქარება მოინდომეს. ბურთის წართმევა-არდათმობაში კოლხიდელ რატი ანდრიაძეს მარდელი გიორგი ელბაქიძისთვის დაურტყამს და მაყურებელიც მოედანზე შეჭრილა. თვითმხილველთა მტკიცებით, გავეშებულ ბრბოში თურმე დანამაც გაიელვა. სტადიონზე 35-მდე პოლიციელი კი ყოფილა, მაგრამ მოვარდნილი ტალღა მოედნიდან გაჭირვებით გაუყვანიათ.

ჩხუბი და სტუმართა ცემა რომ განელდა, მსაჯმა ლევან კვარაცხელიამ ანდრიაძე და ელბაქიძე მოედნიდან გააძევა. ჰოდა, საკამათოც ეს გახდა, „მარდის“ წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, მსაჯმა ელბაქიძე უსამართლოდ გააგდო, გიორგის მომხდურისთვის ხელი არ შეუბრუნებიაო.

ანდრიაძემ ელბაქიძეს რომ დაარტყა, თავად ქუთაისელებიც აღიარებდნენ, მაგრამ გადაჭრით ვერავინ დაამტკიცა, დაუბრუნა თუ არა ხურდა შეურაცხმყოფელს ელბაქიძემ. მხოლოდ მსაჯი და თანამსაჯი ამბობდნენ, მეტოქეს თბილისელმაც დაარტყაო.

არადა, თავად თქვეს, ქუთაისელებმა გოლი რომ გაიტანეს, კვარაცხელია თურმე მეგოლის ვინაობას იწერდა ბარათში, თანამსაჯი კი მოედნის ცენტრისკენ გარბოდა. როგორც ითქვა, ყველაფერი წამიერად მოხდა, ჩხუბის წამოწყება და მოედანზე მაყურებლის შეჭრა ერთი იყო. სულაც არ ვაპირებ ელბაქიძის დაცვას, მაგრამ თუ ანდრიაძის მოჭნეული მუშტები ყველამ კარგად დაინახა, როგორ გამორჩათ ელბაქიძის ხურდა?

კვარაცხელიას მასპინძელთან ერთად სტუმრის გაძევება ეგებ ვითარების განსამუხტავად დასჭირდა და ძნელია, ამაში დაადანაშაულო, მაგრამ მაშინ ისიც უნდა ეღიარებინა, რომ ზეწოლას განიცდიდა და სხვაგვარად არ შეეძლო.

თითქმის დაუჯერებელია ის ამბავიც, რომ მსაჯებზე ზემოქმედება არ მომხდარა. როცა მასპინძელი გუნდის გულშემატკივარი, ზრდასრული ხალხი, მოედანზე ორჯერ შეეჭრება და სტუმრებს ცემას დაუწყებს, მსაჯებსაც რომ კედელთან მიაყენებს, ფაქტია. ამიტომ ისიც საეჭვოა, რომ მატჩის შემდეგ ოქმი სწორად შეივსო და იქ სრული სიმართლე წერია.

ისე, ცოდვა გამხელილი სჯობს და თავისი წილი ფედერაციასაც ვუსაყვედუროთ. თუ ხედავ, რომ გათამაშება ძალიან დაიძაბა და ვითარება შეიძლება უმართავი გახდეს, მაშინ უპრიანი იქნება, ასეთი თამაშები უფრო გამოცდილმა არბიტრებმა განსაჯონ. ლევან კვარაცხელიას „კოლხიდა“ — „მარდის“ პაექრობის მსაჯობაზე თავიდან უარი უთქვამს, მანამდე კიდევ ორ არბიტრს არ უსურვებია ქუთაისში გაგზავრება. ესე იგი, თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმ თამაშში დაძაბულობის ხარისხი ძალიან მაღალი იყო. მატჩს კვალიფიციური კომისარიც მოუხდებოდა. სულაც სადისციპლინო კომიტეტის რომელიმე წევრი თავისუფლად იტვირთებდა ამ საქმეს და გუშინ სადავოც თითქმის არაფერი იქნებოდა. ფედერაციას მოზარდია ყველა თამაშზე ინსპექტორის ასანაზღაურებელი თანხა რომ არ მოეძებნა, ვერაფერი გასასამართლებელი საბუთია. არც ის მგონია სწორი, პროფესიონალი ფეხბურთელი და მოზარდი მოთამაშე ერთი სადისციპლინო კოდექსით გასასამართლო.

გუშინ ელბაქიძეს ერთმატჩიანი სასჯელი ერგო, ბუნებრივია, იგი მესხის თასის ნახევარფინალს გამოტოვებს. არადა, როგორც გუშინ თქვეს, ორი წლის მანძილზე „მარდის“ განაპირა მცველს ყვითელი ბარათიც არ მიუღია. ანდრიაძეს კი სამთამაშიანი დისკვალიფიკაცია შეუფარდეს. თუმცა, სხვაგვარი მოსაზრებაც იყო, ზოგი უფრო მკაცრ სასჯელს ითხოვდა, ზოგიც უფრო ლოიალურს. ქუთაისურ სარბიელს წლის ბოლომდე დისკვალიფიკაცია დაუდგინეს, კლუბი კი გააფრთხილეს. იმ სტადიონზე თურმე 7 გუნდი ვარჯიშობს და თამაშობს, ამიტომ იქნებ ჯობდა, უფრო მწარედ თავად კლუბისთვის, მისი თავკაცისთვის და „კოლხიდას“ მწვრთნელისთვის მოეკითხათ დისციპლინარებს, სტადიონი კი სხვა გუნდებისთვის დაეთმოთ.

ახლა ქუთაისიდან თბილისში გადმოვინაცვლოთ და 1989 წელს დაბადებულთა ტურნირის, „ოლიმპიკ“ — „დინამოს“ თამაშზე ვთქვათ. „ოლიმპიკი“ სტუმარს 10-ს უგებდა. ცხადია, „დინამო“ ანგარიშის გაქვითვას ლამობდა და მეტოქეს უტევდა. მატჩის დამთავრებამდე კი სამიოდ წუთი რჩებოდა. დინამოელთა ერთ-ერთი შეტევისას მასპინძელთა მეკარე და სტუმარი ფორვარდი თავით შეასკდნენ ერთმანეთს, ბურთი კი ხარხას გადაევლო. მსაჯ ფანიაშვილს თამაში გაუჩერებია, მოედანზე ექიმები უხმია და... მაშინ, როცა დაშავებულებს დახმარებას უწევდნენ, მოედანზე ვიღაც თეთრპიჯაკიანი გამოჩენილა, რომელიც მსაჯთან მიჭრილა და... ეს რა გოლი არ ჩათვალეო, უთქვამს.

როცა არამკითხეს აკადრეს, მოედნიდან მიბრძანდიო, გადაწია თურმე პიჯაკის ცალი მხარე და იარაღი იშიშვლა. მას გადატენაც მოუსწრია და თანმგზავრიც ხელში სცემია. მთვრალი იყო ის კაცი თუ სხვა რამ უბედურება სჭირდა, არავინ იცის. მთლად დალაგებულ ჭკუაზე რომ არ იყო, ფაქტია, თორემ კარს გადაცილებულ ბურთს გოლად როგორ მონათლავდა. მერე, ეტყობა, შეეხიზღლა, ყველაფერს მიხვდა და იქაურობასაც უწუმრად გაეცალა.

იარაღიანის ვინაობა არავინ იცის. ის კი ფაქტია, რომ „დინამოს“ მომხრე იყო, რადგანაც მსაჯს „ოლიმპიკის“ კარში არარსებულ გოლს ედავებოდა. „დინამოს“ მწვრთნელმა გოჩა ხიტირმა კი თქვა, ჩემი შეგირდების მშობლებიდან არც ერთია პოლიციელი და არც მსგავს უწყებაში მუშაობს ვინმე, სხვა ხელობის კაცი კი ასეთ საქციელს ვერ გაბედავდაო, მაგრამ დისციპლინარები შეუვალნი იყვნენ. ის შლეგიანი თქვენი გუნდის საქმაგოდან იქნებოდაო.

სასჯელზე რომ მიდგა საქმე, გადათამაშებაც ახსენეს, მაგრამ გოჩა ხიტირმა ალალად განაცხადა — „დინამო“ თამაშს აგებდა, საფინალო სასტვენამდე სამიოდ წუთი რჩებოდა, ამიტომ წაგება ჩამითვალეთ და მეტოქეს გამარჯვებას ვულოცავო.

„ოლიმპიკის“ 10 წამსვე 3:0-ად გადაიქცა. იმ იარაღიანის შესახებ კი ასე გადაწყვიტეს — ოფიციალური წერილით შინაგან საქმეთა სამინისტროს მივმართოთ და თავს ისინი დაადგამენო.

ბოლოს დანარჩენ საკითხებზე მოგახსენებთ: საფეხბურთო სკოლა „ორბის“ ფეხბურთელ სერგო ბოლოთაშვილს 12-თვიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს, მსგავსი სასჯელი ერგო კობა ყუდლაძეს დედაქალაქური „სიონიდან“. ორივე მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის გაასამართლეს.

თსუელ ჯოჯუას, დინამოელ მანწკავას, ხობელ ჭიჭინაძესა და კოლხ ჭედიას ოთხმატჩიანი სასჯელები და 200-ლარიანი ფულადი ჯარიმები ერგოთ. ყველა მათგანი ან მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის არიან დისკვალიფიცირებულნი, ანაც ჩხუბისთვის.

ასეთი ძალადობის ფონზე სალალობი იყო ჭაბუკთა ნაკრების შუახანელის ხოჯავას განაჩენი, რომელიც ორი ყვითელი ბარათისთვის გაუძევებიათ.

მამუკა ძვანტალიანი



ქუთაისური მატჩი ვიდეოზეც გაარჩიეს

ფოტო: „ბ“

კონფედერაციის თასი 2003. საფრანგეთი. 18-29 ივნისი

ახალი ზელანდია 0:3 იაპონია

0:1 ნაკამურა (12), 0:2 ნაკატა (65), 0:3 ნაკამურა (75)

ახალი ზელანდია: უტინგი, ოუფტონი, ზორიჩიკი, ნელსენი, დევიხი, ვიკელიჩი, ელიოტი, ლაინსი (ჰიკი 70), ბარტონი (ჯეკსონი 73), კოვენი, კილენი (ბუკენოგე 79)

იაპონია: ნარაზაკი, მიამოტო, ცუბოი, იამადა, ინამოტო, ალექსი, ენდო, ნაკამურა, ჰ. ნაკატა, ტაკაჰარა, ოკუბო

მსაჯი: კოფი კოჯა (ბენინი)

36 038 მაყურებელი

კონფედერაციის თასის გათამაშება, რა თქმა უნდა, პარიზში და საზეიმოდ გაიხსნა. პირველ მატჩში იაპონია ახალზელანდიელებს შეხვდა, რომელთაც ამავე ტურნირში ოთხი წლის წინაც უთამაშიათ. მაშინ სამივე მატჩში დამარცხდნენ და ახლაც მარცხით დაიწყეს.

ზიკოს ნაკრებმა მაიკ ვეიტისას აშკარად აჯობა. ბრაზილიელი მწვრთნელის ხელში იაპონელებს ბოლო სამი თამაში არ მოეგოთ. ზიკომ მატჩამდე თქვა, მასპინძლებს ვერა, მაგრამ ახალზელანდიელებს და კოლუმბიელებს სამსამ ქულას ავწაპნითო. მისი ნათქვამის ნახევარი უკვე შესრულებულია, თუმცა საეჭვოა, კოლუმბიელებსაც ასე იოლად გაუსწორდნენ.

„სენ დენიზე", ფაქტობრივად, სერია A-ს აღლუმი შედგა. „კალჩოს" იაპონელმა ლეგიონერებმა მეტოქეს ბურთით თამაშზე ლექცია წაუკითხეს. ახალზელანდიელები მხოლოდ მოწინააღმდეგე ფეხბურთელების ქროლვას ადევნებდნენ თვალს და სათავისოდ თუ რამე ისწავლეს, სამომავლოდ გამოადგებათ.

ზიკოს შეგირდები, ფაქტობრივად, 90 წუთის მანძილზე ვითარებას აკონტროლებდნენ და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს.

პირველი კონფედერაციული გოლი სტადიონზე შეკრებილმა თხუთმეტი ათასმა ქომაგმა ძალიან იხილა. ინამოტო, ალექსი, ნაკამურა და ნაკატა მოედნის გულში გაბატონდნენ. საგოლე კომბინაცია ნაოჰირო ტაკაჰარამ წამოიწყო. მარჯვენა ფლანგზე იოშიტო ოკუბო მონახა და იქიდან ბურთი საჯარიმოში აღმოჩნდა. ჯერ ჰიდეტოში ნაკატას შეეძლო დარტყმა, მაგრამ რეჯინელი ნახევარმცველი შუნსუკე ნაკამურა უკეთეს პოზიციაში აღმოჩნდა. მისმა დაკრულმა ბურთმა მეკარე მაიკ უტინგისგან ხელმარცხნივ ჩაიქროლა და ბადეს შიგნიდან შეერწყა.

არგენტინისგან ამხანაგურ მატჩში მარცხით გამწარებულმა იაპონელებმა გაილაღეს და ტაიმის ბოლომდე, სულ ცოტა, ოთხი გოლი კიდევ უნდა გაეტანათ. სამჯერ ტაკაჰარას, ერთხელ კი ოკუბოს შეეძლოთ სხვაობის გაზრდა. ვერ მოახერხეს, მაგრამ საქმე მეორე ნახევარში მაინც მიიყვანეს ბოლომდე.

შესვენების შემდეგ მცირე სასწაული მოხდა. ახალზელანდიელ ივან ვიკელიჩის თავური კარში წავიდა და სეიგო ნარაზაკიმ მოიგერია. ერთადერთი სახიფათო მომენტის გამო იაპონელები ნამდვილად არ აფორიაქებულან.

მალე მეორე „იტალიელის", პარმელი ჰიდეტოში ნაკატას ჯერი დადგა. ნაკატამ ოციოდ მეტრიდან გაისროლა და მიზანშიც მოარტყა. მაიკ უტინგის ნახტომი ამაო გამოდგა. პარმელი ათიოდ წუთში რეჯინელთან ალავერდს გადავიდა და შუნსუკე ნაკამურამ ზუსტი თავურით ახალზელანდიელთა მეკარე მესამედ დააღონა.

„ჩვენ ორჯერ მეტი გოლის გატანა შეგვეძლო, თუმცა იმითაც კმაყოფილი ვარ, რომ ბიჭებმა უამრავი მომენტი შექმნეს. თან სამომავლო ორი მატჩისთვის ძალებიც დაზოგეს" — გახარებული იყო ზიკო. ბევრი არც მაიკ ვეიტს ულაპარაკია: „ბურთის დაჭერა ვერ შევძელით, რადგან მეტოქემ მის ფლობაში აშკარად დაგვჩაგრა".



REUTERS სურ. დეტალი

ახალზელანდიელმა ელიოტმა იაპონელი ოკუბო ზიკოს შეძახილის მიუხედავად ფეხზე გადაიწვინა

A ჯგუფი. I ტური

პირველი იტალიური სერია

იაპონიამ საპონივით ისრიალა

ერთი გასროლით

რუბენას ხელი ანრიმ დათოფა

საფრანგეთი 1:0 კოლუმბია

1:0 ანრი (39)

საფრანგეთი: კუპე, ტურამი, დესაი, მექსეში, ლიზარაზუ, ვილტორდი, პედრეტი, დაკური, კაპო (პირესი 61), ანრი (მარლე 84), სისე (გოკუ 76)

კოლუმბია: ო. კორდობა, გ. მარტინესი (ვალენო 90), იეპესი, ი. კორდობა, ბედოია, პატინო (არიაგა 66), ველასკესი, ხ. ლოპესი, ერნანდესი, არისტიზაბალი, ბეჩერა

მსაჯი: ლუსილიუ კარდოზო კორტეს ბატისტა (პორტუგალია)

38 500 მაყურებელი

ლიონის „სტად ჟერლანზე" შეკრებილმა 40 ათასამდე გულშემატკივარმა დასუსტებული საფრანგეთი და მებრძოლი კოლუმბია ნახა. მასპინძლებმა კინკილა გოლით მოიგეს, მაგრამ სამხრეთამერიკელი სტუმრები ალბათ ფრეს იმსახურებდნენ. მატჩის მიწურულს მათ ჯიქურ შეუტიეს გრეგორი კუპეს კარს და ფრანგები გოლს რამდენჯერმე გადაურჩნენ.

ჟაკ სანტინიმ ბენუა პედრეტო, ოლივიე კაპო, ოლივიე დაკური სანაკრებოდ მოსინჯა. ევროპის ჩემპიონებმა შეხვედრა მეტოქეზე უკეთ დაიწყეს და მასპინძლებისგან ეს არც იყო გასაკვირი, მაგრამ კოლუმბიელებმა ძალევე გაანელეს ფრანგთა აქტიურობა.

პირველად დამზადურთა კარისკენ რუბენ ველასკესმა გაისროლა, საჯარიმოდან ჩახვევა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო.

საპასუხო საჯარიმო ჯიბრილ სისემ შეასრულა, მისი დარტყმული ბურთი ცოცხალ კედელს მოხვდა. პირველ ნახევარში სისე-ანრის წყვილი გამოირჩეოდა.

ტაიმის შუაწელში „ოსერის" თავთეთრი მეგოლე ორჯერ აფეთქდა. ჯერ მისმა თავურმა ოსკარ კორდობას კარს გადაუფრინა, მერე კი ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ ტიერი ანრის კარგი პასი მიაწოდა, „მეთოფემ" საგოლე მომენტი გაანიავა.

მოგვიანებით როლები გაიცვალა. ანრის პასით სისეს შეეძლო თავისიანების დაწინაურება, მაგრამ ბურთს უშნოდ დაჰკრა.

შესვენებამდე ანგარიში მაინც გაიხსნა. სილვენ ვილტორდი მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში შეიჭრა და ჯიბრილ სისეს მიაწოდა. გზად ბურთი რუბენ ველასკესის ხელს გადაეყარა. პორტუგალიელმა მსაჯმა თითი თერთმეტმეტრიანის ნიშნულს დაადო. პენალტი ტიერი ანრიმ უზადოდ შეასრულა და ფრანგები დაწინაურდნენ.

გახალისებულმა მასპინძლებმა ტაიმის დასრულებამდე სამჯერ სახიფათოდ კიდევ შეუტიეს კორდობას კარს. ოლივიე კაპომ, ანრიმ და ოლივიე დაკურმა სცადეს ბედი — დაკურის დარტყმული ხარიხას ეცა.

REUTERS ლიონიდან

თმაწვერშეფერილი სისე ფრანგთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო

მეორე ნახევარში გუნდებმა თამაში საკმაოდ მაღალ ტემპში დაიწყეს. ჯოვანი ერნანდესმა მკარესთან პირისპირ ელსონ ბეჩერას გაყვანა სცადა, თუმცა ბოლო წამს ბურთი მცველებმა მოიხელთეს.

მოედანზე ოლივიე კაპოს ნაცვლად რობერ პირესი გამოჩნდა, რომელმაც სილვენ ვილტორდს უზადო პასი გაუჩარხა, მაგრამ „მეთოფემ" დარტყმა დაგვიანა და მეურვემ ბურთი კუთხურზე მოისროლა.

დამზადურები მეორე ტაიმის შუაში დაცხრნენ, სამხრეთამერიკელები კი უკეთ ათამაშდნენ. შეხვედრის დასრულებამდე დარჩენილ თორმეტწუთიან მონაკვეთში კოლუმბიელებმა ფრანგები გვარიანად ანერვიულეს და გაწვალეს. გრეგორი კუპეს ცხვირწინ ხიფათმა იმრავლა. მარსელ დესაისთან შეხების შემდეგ ელსონ ბეჩერა საჯარიმოში დაეცა. სტუმრები თერთმეტმეტრიანს ითხოვდნენ. პორტუგალიელმა მსაჯმა კი თავდამსხმელი სიმულაციისთვის გაფერთხილა. მატჩის მიწურულს რუბენ ველასკესის დარტყმული ხარიხამ უკუაგდო. სულ ბოლოს კი კოლუმბიელებმა ერთი საჯარიმო დარტყმაც შეასრულეს. ქულა ვერა, მაგრამ სტადიონზე შეკრებილთაგან ჯიგრიანი თამაშისთვის ტაში კი დაიმსახურეს.

ჟაკ სანტინი: „გამარჯვება მძიმე ბრძოლაში გვერგო, რადგან კოლუმბიელებს შესანიშნავად ორგანიზებული გუნდი და მაღალი კლასის მოთამაშეებით გაძეძგილი ნაკრები ჰყოლიათ".

ფრანსისკო მატურანა: „ვამაყობ ჩემი ბიჭებით. მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდთან ბოლომდე იბრძოლეს და იღბალი რომ გვქონოდა, ფრეს მაინც მოვახერხებდით".

ვაგა ხუციშვილი

იაპონია	1	1	0	0	3:0	3
საფრანგეთი	1	1	0	0	1:0	3
კოლუმბია	1	0	0	1	0:1	0
ახ. ზელანდია	1	0	0	1	0:3	0

ბრაზილია

გაბადებული მატჩი

ფლამენგო 3:0 კრუზეირო

1:0 ზე კარლოსი (17), 2:0 ფეანი (19), 3:0 ფონატანა (66)

კრუზეირო	13	7	4	2	29:17	25
სანტოსი	13	7	3	3	22:13	24
კურიტიბა	13	7	2	4	21:16	23
ინტერნასიონალი	13	6	3	4	16:14	23
სან პაულუ	13	6	4	3	28:25	22
სან კეეტანო	13	5	6	2	15:12	21
ატლ. მინეირო	13	5	5	3	22:16	20
ფლამენგო	13	5	5	3	21:21	20
კორინთიანსი	13	5	4	4	27:17	19
გუარანი	13	5	3	5	22:18	18
პარანა	13	5	3	5	23:20	18
ბაია	13	5	3	5	18:19	18
კრისიუმა	13	5	3	5	15:19	18
ვიტორია	13	5	3	5	16:21	18
ატლ. პარანენსე	13	5	2	6	23:22	17
ფლუმინენსე	13	4	4	5	16:19	16
გრემიო	13	4	3	6	15:16	15
პაისანდუ	13	4	3	6	24:29	15
ვასკუ და გამა	13	3	6	7	19:21	15
ფიგეირენსე	13	3	5	5	14:17	14
ფორტალეზა	13	3	3	7	13:21	12
ჟუვენტუდე	13	2	5	6	11:26	14
პონტე პრეტა	13	3	5	5	15:21	10
გოიასი	13	2	3	8	23:28	9

უკრაინა

30-ე ტური: დინამო — მეტალისტი 4:2; შახტარი — არსენალი 3:0; ობოლონი — მ. დონეცკი 0:3; მ. ზაპოროჟიე — ტავრია 1:1; კარპატი — ოლიქსანდრია 3:2; ვოლინი — დნიპრო 4:5; კრივბასი — ჩერნომორეცი 2:4; ვორსკლა — ილიჩევეცი 1:1

საბოლოო ცხრილი

დინამო	30	23	4	3	66:20	73
შახტარი	30	22	4	4	61:24	70
მ. დონეცკი	30	18	6	6	44:26	60
დნიპრო	30	18	5	7	48:27	59
არსენალი	30	16	8	6	49:25	56
ვოლინი	30	12	5	13	37:44	41
კარპატი	30	9	9	12	29:37	36
ჩერნომორეცი	30	10	4	16	31:45	34
ტავრია	30	9	7	14	36:50	34
ილიჩევეცი	30	8	10	12	34:38	34
ვორსკლა	30	8	8	14	26:41	32
კრივბასი	30	8	7	15	25:37	31
ოლიქსანდრია	30	7	9	14	26:43	30
ობოლონი	30	7	7	16	32:45	28
მ. ზაპოროჟიე	30	6	8	16	22:41	26
მეტალისტი	30	6	5	19	19:43	23

დანია

სუპერლიგა

32-ე ტური: ოლბორგი — მიდტიულანდი 1:0; ბრონდბიუ — კოპენჰაგენი 0:1; აკადემისკი — ფარუმი 1:2; ოდენსე — სილკებორგი 4:3; ვიბორგი — კოგე 6:1; ორჰუსი — ესბიერგი 1:1

კოპენჰაგენი	32	16	10	6	47:31	58
ბრონდბიუ	32	15	11	6	58:31	56
ფარუმი	32	15	3	14	48:58	48
ესბიერგი	32	12	11	9	65:56	47
ოდენსე	32	11	12	9	53:49	45
ვიბორგი	32	11	10	11	58:54	43
მიდტიულანდი	32	11	10	11	45:43	43
ოლბორგი	32	13	4	15	41:45	43
აკადემისკი	32	10	11	11	43:44	41
ორჰუსი	32	10	10	12	48:55	40
სილკებორგი	32	8	9	15	48:52	33
კოგე	32	8	3	21	44:80	27

ფინეთი

30-ე ტური: იარო — ლაჰტი 1:1; ოიკერიტი — ჰაკა 0:0; ტამპერე — ჯაზი 2:0; ტურკუ — ალიანსი 2:2. ტურის დანარჩენი მატჩები წუხელ გაიმართა (ის. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგები ცხრილში შეტანილი არაა

ჰაკა	8	6	1	1	17:4	19
ალიანსი	8	5	2	1	20:11	17
ტამპერე	8	5	0	3	12:8	15
მიუპა	7	4	2	1	14:5	14
ჰიკ	7	4	2	1	9:5	14
ტურკუ	8	4	1	3	13:10	13
ოიკერიტი	8	3	2	3	10:7	11
იარო	8	2	4	2	13:11	10
კტპ	7	3	0	4	11:12	9
ჰაამენლინა	7	2	3	2	7:10	9
ჯაზი	8	2	1	5	8:18	7
ლაჰტი	8	1	3	4	7:13	6
ინტერი	7	0	2	5	6:17	2
კუოპიო	7	0	1	6	8:24	1

დედას ცრემლი არ დაანახო, ბექჰ!

გამოძვრა საიდანღაც ვიქტორია და...

ხინკალზე მურაბა არ გინდა, პოშ?



იაპონელი გიდი ეუბნება დევიდ ბექემს: მარცხნივ მთა ფუძიამაა, მარჯვნივ კი თქვენს მიერ დღეს ნაშოვნი ფული

რით არის მიმზიდველი ტელესერიალი? იმით, რომ სხვისი ცხოვრებით ცხოვრობ და შენი ცოტა ხნით გავიწყდება. აი, სწორედ ამით არის კარგი ინგლისელი ვარსკვლავის, დევიდ ბექემის „მანჩესტერ იუნაიტედიდან" მადრიდის „რეალში" გადასვლის ამბავი — გატაცებით კითხულობ ახალ ამბებს, ეცნობი დევიდის ცხოვრებას, ამართლებ ან ამტყუნებ მის პოშ-მეუღლეს ვიქტორიას და ცდილობ არ გამოთვალო, რომ თავად, მეტ-ნაკლები ქართული შემოსავლით (ვილოცავთ, შემოსავალი გქონიათ), დაახლოებით 20-25 წელიწადი უნდა იმუშაო, მის ერთი კვირის ხელფასს რომ გაუტოლდე. თუმცა, მოდი, ბექემს ნუ შევედრებით (ბარე ორი ინგლისელი და ესპანელი ვერ შეედრება) და თავიც ძალიან ქართული გამონათქვამით — ყველას თავის გზაზე გაუმარჯოს, ძმაოთი, დავიმშვიდოთ. მოდი, ვიხაროთ იმით, რომ ბექემი სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს და ეს სიხარული ახალ-ახალი ამბებით გავიმრავალჟამიეროთ.

აი, მაგალითად ასეთ ახალ ამბავს გეტყვით (და თავი ნაღდად ტელესერიალის მაყურებელი გეგონებათ): „მანჩესტერიდან" წასვლის ამბავი საბოლოოდ რომ გადაწყდა, დევიდს გული ასჩუყებია და დედასთან, სანდრა ბექემთან ტელეფონში უტირია თუ თითქმის უტირია.

„დედისგან გავიგე, რომ ყველაფერი დასრულდა, მამაჩემი ნაღდი კაცია, დედა კი უფრო რბილია, ნუგეშის მომცემი, მასთან საუბარი მავსებს. იმ დღეს ორივენი გულაჩუყებულნი ვიყავით. მახსოვს, მაშინაც, როდესაც 11 წლისა გახლდით და „რიჯვეი როვერსის" ბავშვთა გუნდის შემადგენლობაში ვთამაშობდი, დედამ მითხრა, რა კარგია დღეს ყველაფერი კარგად რომ გამოგივიდა, „მანჩესტერ იუნაიტედის" ხალხი იჯდა ტრიბუნაზე და თავისთან წაყვანა დაგიპირესო. ვიდექი და ვტიროდი" — უთხრა ბექემმა ამერიკული ჟურნალის „სპორტს ილუსტრეიდის" ჟურნალისტს — მიაქციეთ ყურადღება, ფეხბურთელის ამბით იმ ქვეყნის ჟურნალიც დაინტერესდა, სადაც ფეხბურთი ჩირად არ უღირთ. ესეც დევიდის პოპულარობა!!!

ტედ ბექემი, დევიდის მამა: „შოკში ვარ, ის მიდის. წასვლა არ უნდოდა, აიძულეს. მანჩესტერელებს რომ სდომოდათ ჩემი შვილი, მრავალწლიან კონტრაქტზე მოუწერდა ხელს".

ისევ დევიდი: „ისეთ გუნებაზე ვარ, ლამისაა ფილმების ცქერის დროსაც ყველაფერზე ვიტირო".



ბეკინგემ პალასი

თქვენი მონა-მორჩილი, სტატიის ავტორი: დევიდ, შენი შემოსავლის მეასედი მომცენ და თუ გინდა თვალში ხახვი მისვან, ერთი ცრემლი არ წამომივა!

ერთი სიტყვით, ბექემის მამა და ბევრი ინგლისელი დარწმუნებულია, რომ დევიდი „მანჩესტერ იუნაიტედიდან" გააგდეს, ყველაფერი კი მწვრთნელს, ალექს ფერგიუსონს ბრალდება.

ფერგიუსონი: „ვარჯიშის შემდეგ ის მუდამ რჩებოდა და რაღაცეებს ხვეწდა, ხვეწდა, ხვეწდა... შემდეგ კი თავისი მომავალი ცოლი გაიცნო და ყველაფერი შეიცვალა. ქალი პოპ კულტურიდან იყო, დევიდს სხვა იმიჯი ჰქონდა, ამიტომ მეუღლემ მის შეცვლას მოჰკიდა ხელი. ჩემს თვალწინ ადამიანი სხვა პიროვნებად იქცა".

სხვა პიროვნებას, ბუნებრივია, სხვა კონტრაქტები აქვს სხვადასხვა სპონსორებთან.

„რეალის" დირექტორი ხორხე ვალდანო: „ბექემთან დაკავშირებული მოლაპარაკებების დროს საკვანძო საკითხი მისი იმიჯის უფლებები იყო. ჩვენ ნებისმიერ ფეხბურთელს ამ უფლებათა ნახევარს ვთხოვთ და მართალია, ამ კერძო შემთხვევაში ყველაფერი უფრო რთულად იყო, ფეხბურთელი დაგვთანხმდა. ეს თანხმობა ნათლად აჩვენებს, რომ მას „რეალში" გადმოსვლა ეწადა, როგორც ხედავთ, ფულის დაკარგვაზეც არ თქვა უარი".

ჩაასხით ხარჩოში შოკოლადი

დედა, დედა, გაიგეთ რა მომხდარა? ვიქტორიას მაკლერისთვის დაურეკია, ჩემი და დევიდის მანჩესტერული სახლი კარგად შემიფასე და გამაყიდინეო. ერთი წლის წინ ბექემებმა ამ სახლში მილიონ შვიდასი ათასი ინგლისური გირვანქა გადაიხადეს. ვიღაც ესპანელი მაკლერი კი ახალი სახლის შერჩევაზე მუშაობს თურმე, ოღონდ, სანამ შეარჩევდეს, ოჯახი „რეალის" დაქირავებულ ადგილას იცხოვრებს. ეს ადგილი მადრიდის იმ გარეუბანშია, რომელსაც ლა მორალეხა ჰქვია და ერთობ მდიდრულ-პრესტიჟულია. ჟურნალისტები ლა მორალეხაში გასულან ბექემიანთ მომავალი მეზობლების სანახავად და მათ უთქვამთ, მეფესავით გვეყოლებაო.

ოღონდ, ერთ რამეს გთხოვთ, ის მანჩესტერული, მილიონ შვიდასი ათასიანი სახლი, რომელსაც დევიდმა და ვიქტორიამ ბავშვების ოთახი და რაღაც მიაშენეს, არ აგერიოთ 5-მილიონიან „ბექინგემ პალასში", რომელიც სადღაც სობრიჯუორსშია, ძალიან კარგ ალაგას.

და იმაზე ნუ ვიღელვებთ, შეძლებენ თუ ვერა ბექემები მადრიდში სახლის ყიდვას. შეძლებენ, რადგან ამ საქმეში გამოცდილება არ აკლიათ — დიდი ხანი არ არის, რაც საფრანგეთში, პროვანსში, კერძოდ ბარჟემონში მილიონ ხუთასი ათასად აგარაკი შეიძინეს.

რაც შეეხება იმ, „რეალის" დაქირავებულ „კაზიონი" სახლს, რომელიც თურმე სამი მილიონი ფასობს, მისი არსებობა კარგა ხანს საიდუმლო იყო, მაგრამ დღეს ცნობილია, რომ მეორე იქაური ინგლისელის, სტივ მაკმანამანის საცხოვრებლის სიახლოვესაა. ესე იგი ირკვევა, რომ მაკმანამანი მთელ ამ სატრანსფერო ხლაფორთში კარგად იყო ჩახედული და, თურმე ნუ იტყვით, ბოლო კვირების განმავლობაში ბექს ტელეფონით საათობით ელაპარაკებოდა.

დახეთ, რა საინტერესოა: „აქ ბექემს რომ უნდა ეცხოვრა სამი კვირის წინ ვიცოდი" — თქვა ერთმა მეზობელმა. გამოჩნდა სხვა მეზობელიც, 30 წლის ქალი, ინგლისურად კარგად მოლაპარაკე, რომელმაც ბრძანა, ჩვენს უბანში ბექემები თავს ჩინებულად იგრძნობენო:

„აქ მათ არავინ შეაწუხებს. პოშს შეუძლია პაელას კერძი მოასხას, ამაზე არავინ არაფერს ეტყვის. „რეალის" ვარსკვლავებს მეფეებივით ეპყრობიან".

სადღაც იქვე ცხოვრობს რონალდოც, თუმცა მოდით, პაელაზე მოსხმულ კეჩუპს დავუბრუნდეთ — ეს ესპანელისთვის დაახლოებით იგივეა, რაც ხინკალზე მურაბის მოსხმა, ან რამე ასეთი ქართველისთვის.

ახლა ბავშვების სწავლის საკითხი განვიხილოთ. იქვე, შორიახლოს, კერძო სკოლა ყოფილა, სემესტრში (ვერაფერს გეტყვით [illegible] ხანგრძლივობაზე) 1965 [illegible], სადაც ესპანეთში მომუშავე ინგლისელებს დაჰყავთ შვილები. ერთი სიტყვით, სანერვიულო არაფერია, მით უფრო, რომ დევიდს ესპანეთში სიდედრი და ცოლისდაც მიჰყავს. ქალბატონი ჯეკი და ლუიზი ბავშვებს მოუვლიან.

„ჩემი ცოლი ამიერიდან მეტწილად იქ იცხოვრებს. ყველაფერი კარგად იქნება, თან ბავშვები უცხო ენას ისწავლიან" — ბრძანა სიმამრმა, ბატონმა ტონიმ.

კარგია, როდესაც მეუღლეს დიდი ხნით და შორს უშვებ.

დედას გეფიცები, ქაჯია!

ისე, ცოლზე მართლა რამდენია დამოკიდებული, არა? გადავა კაცი ახალ სამუშაოზე, გაიცნობს ხალხს, საქმეს შეეჭიდება და... ღმერთმა ნუ ქნას, შინ დაბრუნებულს ქალმა ყოველდღე ტვინი უხვრიტოს, ეს სად ჩამომიყვანე, სული მეხუთება, იმ შენი ახალი თანამშრომლების ცოლებიც რა გოიმები არიან, მაგათთან რა მაქვს საერთო და რაღაც ასეთები.

ამიტომ, მოდი ერთი კარგად გავიცნოთ ის სენიორები, რომელთაც პოში, სულ მალე, აუცილებლად გაჭორავს. გავითვალისწინოთ ისიც, რომ ბევრი მათგანის გარდერობები გამოჭედილია მდიდრულ მაღაზიებში ნაყიდი რამეებით, ხოლო ხელებსა და კისერზე ოქრო და ბრილიანტი აქვთ ასხმული.

მილენა დომინგუში — მეტსახელად რონალდინია, 23 წლის ბუღისტი და ფეხბურთელი ქალი, მილანთან რომ ქალთა საფეხბურთო კლუბი „ფიამა მონცაა", იმის მოთამაშე, სამი წლის რონალდის დედიკო, კენწლაობის სუპეროსტატი — გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა როგორც ბურთის (ეს ცხრა საათს და ექვს წუთს გრძელდებოდა) 55 184-ჯერ ამკენწლი — რონალდოს მეუღლე. რონალდომ და მილენამ 1999 წლის შობადღეს იქორწინეს და აქამდე ბედნიერად ცხოვრობდნენ, ახლა კი ამბობენ, რომ ერთი ხანია, ქალი უგუნებოდაა, რადგან ქმარმა ქართულად უთხრა — ცოლი შინ უნდა იჯდეს, ბურთის გორებას თავი დაანებეო. რაც შეეხება ქალბატონი მილენას ოფოფებს, ერთს გაგაცნობთ: მან თავისი საყვარელი კატისთვის ბრილიანტის ყელსაბამი გააკეთებინა. ხოლო ის, რომ არმანის და დოლჩე ენდ გაბანას ანიჭებს უპირატესობას, გასაოცარი არაფერია. იქ, ბრაზილიაში, ბოროტი ჟურნალისტები რონალდოს და მის

ვიქტორია და სტივ მაკმანამანებმა ბექემების მადრიდში ჩასვლის ამბავი ჯერ კიდევ სამი კვირის წინ შეიტყვეს



ოდინდელი „მის მადრიდი“ მამენი და რაული



რონალდინიო და რონალდო



ფიგუს ცოლი ჰელენ სვენსონი პოდიუმზე ეპამოჭრილი ქალია



სონია და ფერნანდო იეროები

ზიდანი „რეალში“ რომ გადავიდა, მისი ესპანელი ცოლის, ვერონიკას დამსახურებაცაა



ალექსანდრა შინ ზის, რობერტო კარლოსი კი გარეთ დარბის

განქორწინებაზეც ამბობენ რაღაცას, მაგრამ ამწუთას, დანამდვილებით არავინ არაფერი იცის.

არანჩა დე ბენიტო — ისე, კაცმა რომ თქვას, ის ცოლი აღარ არის, მაგრამ არც ისეა, რომ ყოფილ ქმართან დანასისხლად იყოს და ოჯახში მიტანილი ბალიშისპირების დაბრუნებას ითხოვდეს ან რამე. არანჩამ და ხოსემ ჩინებული ურთიერთობები შეინარჩუნეს და ამბობენ, ერთმანეთისთვის კარი მუდამ ღია გვექნება, მერე რა, რომ ცოლ-ქმარი აღარ გვქვია, მუდამ ერთმანეთის ცხოვრების ნაწილად დავრჩებითო.

უი, უკაცრავად! ხოსეო, რომ გითხარით, ყოფილ ქმარს ასე არანჩა ეძახის, თორემ ჩვენთვის ამ ადამიანს გუტი ჰქვია. გუტი მისი გვარის, გუტიერესის შემოკლებაა და მეტი არაფერი.

ისინი მაისში განქორწინდნენ. ამ ამბის გაგონებაზე მთელმა ესპანეთმა პირი დაალო, რადგან ყველამ კარგად იცოდა, რა სიამტკბილობით დადიოდნენ ისინი ძვირფას მაღაზიებში. ქორწინებით წყვილმა 1999 წელს იქორწინა და ორი შვილი ჰყავთ, გოგო საიდა და ბიჭი, აიტორი.

„ვამაყობ, რომ ასეთ მშვენიერ ადამიანთან და დიდებულ დედასთან შვილები მყავს“ — ამბობს გუტი.

ამრიგად, მისი ცოლი ცოლი აღარაა, მაგრამ თითქოს არც „ცოლი აღარაა“ არ არის, ანუ არანჩა ვიკას აუცილებლად გაიცნობს და სავარაუდოდ, მოგვიანებით, ქალები თავიანთ კაცებს ერთმანეთზე შთაბეჭდილებას გაუზიარებენ.

ისე, იცოდეთ, რომ გუტიმდე არანჩას არგენტინის ყოფილი პრეზიდენტის, რაულ ალფონსინის ძმისშვილი ჰყვარობდა.

ალექსანდრა პინეირო — აი, თუ ვინმეს „მარიაჟობა“ არ უყვარს ეს ქალბატონია. ძირითადად შინ არის და ბავშვებს, რობერტას და ჯოვანას ზრდის. ამიტომ მასზე ბევრს ვერაფერს გეტყვით, სახლში ხომ ყველა ერთნაირია: „ტელეკიზორთან ახლოს ნუ ვჯდები! გვიანია, უკვე, მარშ, ლოგინისკენ! რა ამბავი მოგიწყიათ სამზარეულოში, თქვენი ოთახი არ გყოფნით?!“ და ასე შემდეგ.

მხოლოდ ის შევიტყეთ, რომ ალექსანდრამ და რობერტომ ერთმანეთი ბავშვობაშივე შეიყვარეს და ერთ-ერთი კინო თუ ტელევარსკვლავში არ გაუცვლიათ. და რაც მთავარია, მათ ჰყავთ ნაშვილები ბიჭი, რომელსაც ზუსტად მამიკოსნაირად, რობერტო კარლოსი დაარქვეს.

ერთი სიტყვით, ვიკას ალექსანდრასგან და ალექსანდრას ვიკასგან ხიფათი არ ემუქრებათ.

მანუელა ლორენსოს ასული სანსი — 28 წლის, გარეთ მაინც და მაინც არ აქტიურობს. ყველაზე მეტად სამი წლის წინ გამოჩნდა, როდესაც პარიზში, ჩემპიონთა ლიგის ფინალში, „რეალისა“ და „ვალენსიას“ შეხვედრისას ტრიბუნაზე ერთი წლით უმცროსი ქმრის №2 მაისურით და ესპანეთის დროშით იჯდა. ზურგზე ბუნებრივია ქმრის გვარი, (მიჩელ) სალგადო ეწერა. მამამისი, ლორენსო, „რეალის“ წინა პრეზიდენტი გახლდათ, ფლორენტინო პერესმა რომ შეცვალა.

სონია იერო — ფერნანდოს მაშინ შეუუღლდა, ვაჟი „ვალიადოლიდში“ რომ თამაშობდა. ძირითადად შვილების, ალვარას და კლაუდიას აღზრდით არის დაკავებული. ნუ გეშინია, ვიკ!

ლორენა — ჯერ იყო და „რეალის“ ტელეარხზე მუშაობდა წამყვანად, ხოლო შემდეგ VIA DIGITAL-ში გადავიდა და დღემდე იქ არის, ოღონდ ერთი უნდა ითქვას, ტელეკარიერა მას მერე „გაეჩითა“, რაც ივან ელგერა შეიყვარა.

სხვათა ცოლებზე კი სხვა დროს იყოს (ფიგუს და ზიდანს მოდელები არა ჰყავთ?), ბოლოს და ბოლოს, „სარბიელია“ თუ „პენტჰაუსი“.

ძმაო ძმითა ხარ ძლიერი

მაგრამ კაცობა და ამბავი მაინც სხვაა. ერთი გუნდი, საერთო მიზანი, ძმობა და იმავდროულად კონკურენცია.

„სულაც არ მეშინია ბექემი რომ მოდის. ამის გამო ნერვიულობისგან ღამეებს არ ვტეხავ. ბექემის მოსვლა ჩემს და მას შორის ომს არ გამოიწვევს. ჩვენი შეწყობა სრულიად შესაძლებელია, მე მას მტრად არ აღვიქვამ, პირიქით, ჩამოსვლის დღიდან ხელს გაგუწვდი, ის ხომ დიდი ფეხბურთელია — ამბობს ლუიშ ფიგუ — მეორე მხრივ, მისი ჩამოსვლა არ ნიშნავს, რომ ყველაფერი შზამზარეული მოგვერთმევა. რონალდო და სხვა ვარსკვლავები აქ არიან და ესპანეთის ჩემპიონატში საქმე ბოლო ტურზე მიგვიდგა, ჩემპიონთა ლიგიდან კი გამოვვარდით. ახლა, უბრალოდ, შესაძლებლობები გაგვეზრდება, თორემ წარმატების გარანტია სად არის“.

რობერტო კარლოსი: „ბექემს ჯარიმებს თუ დავარტყმევინებ? ხანდახან. ის ბრწყინვალედ ურტყამს სტანდარტული მდგომარეობიდან... ისე, ხუმრობა იქით იყოს და „რეალში“ მარტო მე როდი ვარტყამ ჯარიმებს. გაიხსენეთ ფიგუ, ზიდანი, რაული და გუტი. „რეალი“ როგორი გუნდია იცით? აქ ვარსკვლავების რაოდენობა საკმარისი არასდროს იქნება. ჩვენ მსოფლიოს საუკეთესო კლუბი ვართ და ბექემი კიდევ უფრო გაგვაძლიერებს. ერთი სიტყვით, დაუმარცხებელი არავინაა, მაგრამ „რეალის“ დამარცხებას ძალთა 200-პროცენტიანი მობილიზება სჭირდება. ბექემზე რომ ვფიქრობ, ასე მგონია, ყოველთვის ერთად ვთამაშობდით. ის მოდის და ამიტომ მე „მანჩესტერში“ გადასვლა აღარ მინდა. თუ გახსოვთ, პრესაში სულ ვაქებდი, ბოლო თვეების მანძილზე სულ ჩამოსვლას მოვუწოდებდი“.

რონალდო: „ბექემის ყიდვა „რეალის“ ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მომენტია. ახლა მწამს, რომ მართლა ყველაზე ძლიერი გუნდი ვართ და თუ ჩემს რჩევას არ იუკადრისებს, მხოლოდ ერთს ვეტყვი — ისიამოვნე ფეხბურთის თამაშით, სულ ეს არის მთელი ფილოსოფია. ეჭვი არ მეპარება, ბექემი ჩვენთან თავს საუცხოოდ იგრძნობს“.

სხვა კი რაღა: აბა, ჰე და აბა, ჰო!

პაუნა ძედია

ბარსელონაში მზე ჰოლანდიიდან ამოდის

„ბარსელონაში“ კვლავ სატრანსფერო ალიაქოთია. დღეს კატალონიის მთავარ ქალაქში პრემიერლიგიზიონის უპირველესი მეგოლის, როი მაკაის წარმომადგენელი როი იანსენი ჩადის, რათა კატალონიური გრანდის ხელმძღვანელობასთან „ბარსას“ გალისიური „დეპორტივოს“ ვარსკვლავის შესაძლო ტრანსფერზე მოითათბიროს.

„ბარსელონას“ ჰოლანდიელით დაინტერესება ახალი რიდია. ხოსეპ მარია მინგუელა, „ბარსელონას“ პრეზიდენტობის ერთ-ერთი უიღბლო კანდიდატთაგანი, მთელი თავისი უიღბლო საარჩევნო კომპანიის მანძილზე უწყვეტად ატრიალებდა მაკაის სატრანსფერო „ფირფიტას“ და ამტკიცებდა, „დეპორის“ ფეხბურთელთან დიდი საქმიანი კავშირები გვაქვსო. ბექემაფარებულმა გაქნილმა ხუან ლაპორტამ მართალია, მინგუელა უკვე ისტორიას ჩააბარა, მაგრამ მაკაის გადაბირებაზე ნამდვილად არ უთქვამს უარი. კატალონიელებმა მშვენივრად უწყიან, რომ მათ გუნდს გოლებზე დაგეშილი ისეთი ცენტრალური თავდამსხმელი სჭირდებათ, როგორიც წლევანდელი „ოქროს ბუცის“ მფლობელი მაკაია.

აქ ერთი საგულისხმო ამბავიცაა: ამჟამად ლაპორტას ბანკი პატრიკ კლუივერტთანაც აწარმოებს მოლაპარაკებას მისი ბარსელონური კონტრაქტის დასახვეწად. თუ ერთ ჰოლანდიელთან (კლუივერტთან) საქმე კეთილად დაგვირგვინდა, მეორე ჰოლანდიელის (მაკაის) შეძენაზე აგრერიგად სულსწრაფად აღარ იზრუნებენ. და თუ მავრი (კლუივერტი) ახლანდელ უფროსობასთან საერთო ენას ვერ გამონახავს, მთელი კატალონიური ძალისხმევა გალისიელის (მაკაის) მონადირებისკენ იქნება წარმართული.

როის 2005 წლის 30 ივნისს უმთავრება „დეპორტივოსთან“ სახელშეკრულებო ვადა, თუმცა ბარსელონელები ამდენის მოცდას არ აპირებენ.

ამასობაში, იანსენთან პაემნის პარალელურად, „ბარსას“ თავკაცნი მწვრთნელსაც ეძებენ. ეტყობა, ანტიჩის კატალონიურ სამწვრთნელო კარიერას წყალი აქვს შემდგარი, თუმცა არავინ იცის, ანარქიის მოყვარულ კლუბში საბოლოოდ რა მოხდება. აქაც ძირითადად „ნიდერლანდული ატმოსფერო“ სუფევს.

რონალდ კუმანმა მშობლიური „აიაქსის“ მიტოვება არ ინება, ამიტომაც ლაპორტას აგენტების მთავარი სამიზნე მისივე თანამემამულე, განვლილი მსოფლიოს ჩემპიონატის „კორეული სასწაულის მამა“ გუს ჰიდინკი გამხდარა. დიდი საარჩევნო ორომტრიალის ჟამს სხვადასხვა კანდიდატის დაპირებებში მისმა სახელმაც ბევრჯერ გაიელვერა. ჰიდინკი ყოველ თავის სადამრიგებლო გუნდში შემტევი ფეხბურთის თავგამოდებული გულშემტკივარი იყო, რითაც წარმატებასმოწყურებული „ბარსელონა“ მოუხიბლავს. რამდენიმე დღის წინ კატალონიელთა წარმომადგენლები უკვე შეხვდნენ ჰოლანდიელ სპეციალისტს, მისგან ნაწილობრივ დასტურიც მიიღეს, მაგრამ ფინანსური საკითხები არ დაუზუსტებიათ. ამასთან დაკავშირებით ლაპორტამ განაცხადა, რომ კლუბის ხაზინა არცოუ ისე კარგ მდგომარეობაშია და სატრანსფერო ხელგაშლილობა მოსალოდნელი არ იქნება. თუ ჰიდინკი კატალონიური ჭისის სიმჩატით უკმაყოფილო დარჩება, „ბარსას“ ელჩები უკვე მესამე ჰოლანდიელს, ფრანკ რაიკაარდს ესტუმრებიან. მოკლედ, კატალონიაში საფეხბურთო მზე კვლავაც ჩრდილოეთიდან — დიდი კრუიფის სამშობლოდან ამოდის.

ლადო ხომერიკი

გუს ჰიდინკს „ბარსელონაში“ ეპატიჟებიან

სამკურნალო გაერთიანება „ლიგა“

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:

  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია **ტელ: 32 21 21**

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი) წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა“
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარლო ანჩელოტიმ ახალი ერის დაწყება ბრძანა

სტეფან აპია

ემილიანო ბონაცოლი

გთხოვთ, იცნობდეთ

რივალდო და რედონდო მილანის ახალწვეულები არიან, რიგს და თასებსკი ბოლო არ უჩანს

ცხადია, რომ ჩემპიონთა თასის მომგებ „მილანს" ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე ამბიციები ექნება, უფრო სწორად, უკვე აქვს და პირველი გარიგებაც გაჩარხა — „რომადან" მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ბრაზილიელი მცველი მარკოს კაფუ გადაიბირა. ეს უკვე შემდგარი გარიგებაა, ქვემოთ კი სავარაუდო ტრანსფერებზე ვილაპარაკოთ.

პირველ რიგში პარმელები, სტეფან აპია და ემილიანო ბონაცოლი ვახსენოთ, რომლებიც „მილანში" თავის ამოყოფის უმთავრესი კანდიდატები არიან.

„ბონაცოლი და აპია სწორედ ისეთი ფეხბურთელები არიან, როგორებსაც ვეძებდით — უთხრა მილანელთა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ „გაძეტა დი პარმას" — დარწმუნებული ვარ, „მილანის" მაისურით შთამბეჭდავ ფეხბურთს ითამაშებენ".

„მილანმა" უკვე დაიწყო მოლაპარაკება „პარმასთან" ამ ფეხბურთელების საყიდლად, ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ განელი აპია „პარმას" აწ გასრულებულ სეზონში „ბრეშაში" ჰყავდა განათხოვრებული, ხოლო ახალგაზრდული „სკუადრა აძურას" წევრი ბონაცოლი „რეჯინაში" თამაშობდა. სხვათა შორის, აპიას რამდენიმე სხვა გუნდიც ეპატიჟება, მათ შორის, „რომაც", მაგრამ ყველაზე რეალური მაინც „მილანის" ვარიანტია.

საუბრობენ „მილანში" ჰიდეტოში ნაკატას გადასვლაზეც, თუმცა ანჩელოტიმ ეს შესაძლებლობა უარყო: „ნაკატა ძალიან კარგი ფეხბურთელია და გულახდილად რომ ვთქვათ, წმინდა კომერციული თვალსაზრისითაც მისი ყოლა მომგებიანია, გუნდს იაპონური ბაზრის ათვისებაში დიდად დაეხმარება, მაგრამ სპორტული თვალსაზრისით ჩვენ ის არ გვჭირდება, რადგან მისი პოზიციაზე საუკეთესო ფეხბურთელები გვყავს. ისე, როგორც მე ვიცი, ნაკატა „ჩელსიში" მიდის".

ლაპარაკობენ, „რომას" კაპიტან ფრანჩესკო ტოტიზეც.

ანჩელოტი: „ვფიქრობ, ნებისმიერი კლუბი ოცნებობს ტოტის შეძენაზე, მაგრამ ოცნების კოშკების აგება არ ღირს, ტოტის გამოყვანა დღეს არარეალურია".

„სხვათა შორის, ამდენ ხალხზე ლაპარაკობთ და ორი ფეხბურთელი დაგავიწყდათ, რომლებსაც მე ჩვენს საუკეთესო შენაძენებად ვთვლი — სიცილით დასძინა ანჩელოტიმ და ჟურნალისტის გაოცება ამგვარად დააკმაყოფილა — რედონდო და რივალდო. მართალია, ისინი ჩვენ ადრე ვიყიდეთ, მაგრამ თავიანთ შესაძლებლობებს მხოლოდ მომდევნო სეზონიდან აჩვენებენ. რედონდოს ტრავმა ჰქონდა, რივალდოსაც რაღაც პრობლემები აწუხებდა, ამიტომაც ჩრდილში იყვნენ მოქცეულები. ახლა ყველაფერი გამოსწორდა და ახალ სეზონში თქვენ სულ სხვა რედონდოს და რივალდოს ნახავთ".

გუშინ კი რამდენიმე იტალიურმა გაზეთმა ფრიად უცნაური ცნობა გაავრცელა. კერძოდ, „მილანმა" „ლაციოდან" ახმახი ჰოლანდიელი მცველი იაპ სტამი გადაიბირაო და ფასსაც ასახელებდნენ — 8,6 მილიონ გირვანქადო. ცნობის უცნაურობა კი ისაა, რომ „ლაციოს" პრეზიდენტმა უგო ლონგომ ეს ამბავი შორს დაიჭირა და სრული სისულელე უწოდა.

და ისევ ანჩელოტი: „ამ სეზონში ჩვენ ორი თასი მოვიგეთ და ყველას აინტერესებს, გაისად რას ვგეგმავთ. ჩვენს ადგილას ბევრი გუნდი მიღწეულით დაკმაყოფილდებოდა და ერთ ხანს განცხრომას მიეცემოდა. მაგრამ როცა „მილანი" გქვია და ზურგს დიდებული ისტორია გიმაგრებს, თავს ამის უფლებას ვერ მისცემ. ასე ვიტყოდი — „ოლდ ტრეფორდზე" გამარჯვება ჩვენთვის მიზნის მიღწევა კი არა, ახალი ერის დასაწყისია. ცხადია, ჩემპიონთა ლიგის ზედიზედ მეორედ მოგება ურთულესი საქმე იქნება, მაგრამ რატომ არ უნდა ვცადოთ. სკუდეტოც რა ხანია, არ მოგვიგია და შევეჭიდებით".

ერთი სიტყვით, „მილანი" მომდევნო ერთ წელიწადში ერთბაშად ექვსი ჯილდოსთვის იბრძოლებს — იტალიის სუპერთასისთვის, ევროპის სუპერთასისთვის, სკუდეტოსთვის, იტალიის თასისთვის და ჩემპიონთა თასისთვის.

გიორგი დარჯანია

ბრეშა და 200

ბაჯომ მალდინი დააფასა

კარგი ამბავი „ბრეშასთვის": რობერტო ბაჯო გუნდში რჩება.

და რატომ უნდა წასულიყო ბაჯო? ამის რამდენიმე მიზეზი არსებობდა. ერთი ის, რომ „ბრეშადან" მისი მასწავლებელი, მხცოვანი კარლო მაცონე წავიდა. მეორე, რომ ბაჯოს მიმდინარე კონტრაქტი დაუმთავრდა და მესამეც ის, რომ პატარა ბიჭი აღარაა და 36 წლის კაცმა ნელ-ნელა კი უნდა დაიწყოს ფეხბურთელის კარიერის დასრულებაზე ფიქრი.

სერია A-ში სეზონის დასრულებისთანავე ბაჯომ არგენტინაში გასწია, იქ შვებულება გაატარა, კარგადაც დაისვენა, ლომბარდიაში დაბრუნებულმა კი განაცხადა: „ვფიქრობ, თამაშს გავაგრძელებ და თანაც, ისევ „ბრეშაში". თავს კარგად ვგრძნობ და ეგებ, არც მომდევნო სეზონის შემდეგ დავასრულო კარიერა. გუნდის გამოცვლის მიზეზსაც ვერ ვხედავ".

ბაჯო ამ დღეებში შეხვდება „ბრეშას" ახალ მწვრთნელ ჯანი დე ბიასის და საბოლოო გადაწყვეტილებასაც მის მერე მიიღებს.

„კარლო მაცონეს წასვლამ უზომოდ დამწყვიტა გული, მაგრამ რა ვუყოთ, მან მებრძოლი გუნდი დატოვა, მე კი იმედი მაქვს, სერია A-ში ჩემს მეორასე გოლს გავიტან" — დასძინა ბაჯომ.

და კიდევ — ბაჯო თვლის, რომ წელს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად პაოლო მალდინი უნდა დაასახელონ: „რა ხანია, მცველს საუკეთესო ფეხბურთელობა არ ღირსებია და ვფიქრობ, ეს უსამართლობაა. მალდინიმ ამ სეზონში იტალიის და ჩემპიონთა თასები მოიგო, დიდი ფეხბურთელი კი რამდენი წელია, არის. მეტი რა უნდა ქნას აღიარებას რომ ეღირსოს?"

თავად ბაჯო 1993 წელს იყო „ოქროს ბურთის" მფლობელი.

კოტე კეკელია

პირველი ნაშელი

გუშინ „რომას" განრისხებულმა სპორტულმა დირექტორმა ფრანკო ბალდინიმ სულ უნამუსოები უძახა „კიევოს" უფროსობას. უმიზეზოდ ხომ არ გალანძღავდა? მიზეზი, ცხადია, ჰქონდა და მასზე ახლავე მოგითხრობთ.

„რომამ" ფრიად პოპულარულ და პერსპექტიულ ვერონელ მცველს, ნიკოლა ლეგროტალიეს დაადგა თვალი. ამ ფეხბურთელისადმი დაინტერესება განსაკუთრებით მას მერე გაიზარდა, რაც ჯოვანი ტრაპატონიმ ჯერ კიდევ შარშან ნოემბერში „სკუადრა აძურაში" მიიწვია.

მოკლედ, „რომამ" ლეგროტალიეს ხელში ჩაგდება მოინდომა და „კიევოსაც" კონკრეტული წინადადებით მიადგა: 4,6 მილიონი გირვანქა ნაღდ ფულად, მეკარე კრისტიანო ლუპატელი ნახევარ ფასში დათმობის და ორიც დედაქალაქელთა აღზრდილი ჭაბუკი ფეხბურთელი.

„მფრინავ ვირებს" შეთავაზება ჭკუაში დაუჯდათ და დაყაბულდნენ, კონტარქტი კი ამ კვირაში უნდა გაეფორმებინათ.

ამ დროს საიდანღაც გამოჩნდა „იუვენტუსი", რომელმაც „კიევოს" ლეგროტალიეს სანაცვლოდ 5 მილიონი გირვანქა, სალვატორე ფრეზი და ორი ჭაბუკი ფეხბურთელი, მადეო პარო და დანიელე გასტალდელო შესთავაზა.

„კიევოს" უფროსობას ტურინელთა შეთავაზება უფრო მოეწონა და „რომას" უგანა — ადრე თანახმა ვიყავით, ახლა კი გადავიფიქრეთო. „რომას" დირექტორიც კიევოელთა უპირობამ განარისხა.

ლეგროტალიე „იუვესთან" კონტრაქტს სავარაუდოდ დღეს გააფორმებს. როგორც ამბობენ, შესათანხმებელი მხოლოდ პირადი კონტრაქტის პირობებიღა დარჩა. თავად ფეხბურთელმა კი „გაძეტა დელო სპორტთან" ინტერვიუში თქვა: „ჩემმა აგენტმა მითხრა, რომ ყველაფერი უკვე მოგვარებულია და ძალიან ბედნიერი ვარ, „იუვენტუსის" გარდა ახლა ვეღარაფერზე ვფიქრობ. უკეთესზე რაზე უნდა მეოცნება, იტალიის ჩემპიონ გუნდში ვითამაშებ და ჩემპიონთა ლიგაშიც თავის გამოჩენის საშუალება მომეცემა".

ჟურნალისტებმა ფეხბურთელს გაახსენეს, რამდენიმე დღის წინ ამბობდი, „რომზე" უკეთეს გუნდს ვერ ვინატრებო. ამაზე ლეგროტალიემ დიპლომატიურად უპასუხა, „რომაც" და „იუვენტუსიც" დიადი კლუბებიაო.

ბოლოს დავძინოთ, რომ ლეგროტალიე „კიევომდე" „ბარიში" თამაშობდა, ხოლო „იუვესთვის" ის ამ ზაფხულის მეორე შენაძენია. პირველი პერუჯელი მანუელე ბლაზი იყო. ამასთანავე ტურინელები „პერუჯაშივე" გასესხებული ფაბრიციო მიკოლის დაბრუნებასაც აპირებენ.

გიორგი დარჯანია



ნიკოლა ლეგროტალიე

Copa Toyota Libertadores '2003

ლიბერტადორესის თასი 2003

ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი

ინდეპენდიენტე მედელინი (კოლუმბია) 2:3 სანტოსი (ბრაზილია) (0:1)

1:0 მორენო (13), 1:1 ალექსი (36), 1:2 ფაბიანო (52), 2:2 მოლინა (81), 2:3 ლეო (87)

ინდეპენდიენტე მედელინი: დ. გონსალესი, კალე, ბალოი, პერეა, რ. კორტესი, ვ. ვასკესი (კ. ალვარესი 66), რესტრეპო, მ. მოლინა, ხარამილიო, მონტოია (ხ. სერნა 52), ტ. მორენო (დ. ალვარესი 83)

სანტოსი: ფაბიო, რეგინალდო (ანდრე ლუისი 77), ალექსი, პერეირა, ლეო, პ. ალმეიდა, რენატო, დიეგუ, ელანო (ფაბიანო 23), რობინიო (დუგლასი 78), რიკარდო ოლივეირა

მსაჯი: ჟილბერტო იდალგო (პერუ)

52 000 მაყურებელი

REUTERS

მედელინელმა ჯონ რესტრეპომ დიეგუს თვალებზეც აფარა ხელი, მაგრამ ფინალი მაინც ვერ დაუმალა

ორი არა...

სანტოსი 40 წელი ელოდა და 9 წუთიც მოითმინა

ბრაზილიის ჩემპიონმა „სანტოსმა“, რომელმაც მსოფლიოში სახელი წინა საუკუნის 60-იან წლებში, იქ პელეს თამაშისას გაითქვა, ხუთგოლიან ტრილერში სძლია კოლუმბიურ „მედელინს“ და ლიბერტადორესის თასის ფინალში გააღწია. ზუსტად 40 წელი გავიდა მას მერე, რაც „სანტოსი“ ბოლოს იყო ამ თასის ფინალისტი.

ალეშმა, ფაბიანომ და ლეაომ სამი გოლი გაიტანეს „სანტოსისთვის“ და მეტოქე ორი მატჩის ჯამში 4:2 დაამარცხეს.

ამასთანავე, „სანტოსმა“, რომელიც 1962 და 63 წლებში გახდა ლიბერტადორესის თასის მფლობელი, გათამაშების ისტორიაში პირველი წმინდა კოლუმბიური ფინალის ალბათობაც აღკვეთა. მეორე ნახევარფინალში არგენტინული „ბოკა ხუნიორსი“ და „ამერიკა“ თამაშობენ, პირველი მატჩის შემდეგ „ბოკა“ 2:0 იგებს და ორს ვინ დაეძებს, ფინალში ერთი კოლუმბიური გუნდიც ვერ გადის. დავძინოთ, რომ ერთადერთი კოლუმბიური გუნდი, რომელიც სამხრეთ ამერიკის საკლუბო ჩემპიონი გამხდარა, „მედელინის“ თანაქალაქელი „ატლეტიკო ნასიონალია“.

თამაშს მივხედოთ. მასპინძლებმა თავიდანვე დიდი მონდომებით შეუტიეს და შედეგი მალევე მოიმკეს. ტრესორ მორენომ ბრაზილიელთა დაცვა გაარღვია და მეკარე ფაბიო კოშტაც დაჩაგრა. ამის მერე კოლუმბიელებს ორიოდე სახიფათო მომენტიც ჰქონდათ, მაგრამ მეკარე უკვე მტკიცედ იდგა. ტაიმის ბოლოსკენ კი „სანტოსმა“ გათანაბრება შეძლო. კოლუმბიელთა კარისკენ საჯარიმო დაინიშნა. კარის სიახლოვეს ჩაკიდებული ბურთი სტუმართა ცენტრალურ მცველ ალეშს თავში უფრო მოხვდა, ვიდრე დაარტყა და ანგარიში გათანაბრდა.

მეორე ტაიმი ორი უმწვავესი მომენტით დაიწყო. ჯერ მედელინელმა მაურისიო მოლინამ, მერე კი სანტოსელმა ვუნდერკინდმა რობინიომ ხარიხას გაარტყეს. მალე კი „სანტოსი“ დაწინაურდა. გოლი შეცვლაზე შესულმა ფაბიანომ გაიტანა, რომელიც მოედანზე მხოლოდ იმიტომ გამოჩნდა, რომ 23-ე წუთზე ბრაზილიელებს ელანო დაემტვრიათ.

თამაში იწურებოდა, დასასრულამდე 9 წუთით ადრე ხარიხის მტერმა მოლინამ მაინც შეძლო გატანა და ზენერვიული თამაშიც გაჩაღდა. საქმე ისაა, რომ სამხრეთ ამერიკაში, ევროპისგან განსხვავებით, მეტოქის მოედანზე გატანილ მეტ გოლს ყურადღება არ ექცევა და ამიტომ დარჩენილ 9 წუთში „მედელინს“ ერთი გოლიც რომ გაეტანა, საქმე პენალტების სერიამდე მივიდოდა — სამხრეთ ამერიკაში არც დამატებით ტაიმებს თამაშობენ.

მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, ერთი გუნდი ვაბანკზე რომ მიდის და ზურგს პირწმინდად იშიშვლებს, დიდი შანსია, თავად გაუშვას და „მედელინსაც“ ასე დაემართა. ბრაზილიელი ლეაოს დარტყმული მეკარე დავიდ გონსალესმა კი უკუაგდო, მაგრამ დამატებულს ველარაფერი მოუხერხა და „სანტოსი“ ფინალში გავიდა.

გიორგი დარჯანია

ხუდიევის თითები

ელისტაში ელიტას დასცხა

რუსეთი

პრემიერლიგა. XIV ტური

ზენიტი 3:0 ტ.მეტალურგი

1:0 დენისოვი (12), 2:0 მაკაროვი (63), 3:0 ვლასოვი (90)

ტორპედო-მეტალურგი: ნოვოსადოვი, რიზვიჩი, შუსტიკოვი, მონაროვი, ბელეცკი (ლიხინი 87), კორიტკო (ლეონოვი 62), კაზაკოვი, ორლოვი, გოროვოი (რეხვიაშვილი 69), სლავნოვი, კომადინა

ტორპედო 2:0 სპარტაკ-ალანია

1:0 შირკო (80), 2:0 არისტარხოვი (83)

სპარტაკ-ალანია: გონჩაროვი, პაგაევი, ჩოჩიევი, ვანდერლეი, გიკაევი, იოვიჩი, ვარზიევი, ბოციევი (სტეპანოვი 83), ბიტაროვი (ხინჩაგოვი 84), აშვეთია (სიკოევი 61), აილაროვი

რუბინი 5:0 როსტოვი

1:0 ჩალაძე (7), 2:0 სკოტი (14), 3:0, 4:0 ბოიარინცევი (56, 76), 5:0 ჩიჟიკი (90)

რუბინი: კოზკო, კალისტო, ნოვოტნი, სილაგაძე, სკოტი, სინევი, ფიოდოროვი, სიბაია (შარონოვი 44), ბოიარინცევი, ჩალაძე (ჩიჟიკი 77), რონი (ნეჩაევი 69)

როტორი 0:2 ლოკომოტივი

0:1 პარკსი (6), 0:2 ლოსკოვი (30)

ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ევსეევი, იგნაშევიჩი, ლეკხეტო, ნიჟეგოროდოვი, პაშინინი, სენიკოვი, ლოსკოვი, ბუზნიკინი (სირხაევი 62), იზმაილოვი (ასათიანი 84), პარკსი (ჟულიო სეზარი 86)

ურალანი 2:2 ცსკა

1:0 კოლოდინი (46), 1:1 იაროშიკი (47), 2:1 ნიკლაური (79), 2:2 კირიჩენკო (88)

დინამო 3:2 ჩერნომორეცი

0:1 ტერიოხინი (11), 1:1, 2:1 კორჩაგინი (38, 48), 2:2 ტერიოხინი (663), 3:2 ჩესნაუსკისი (80)

სპარტაკი 0:1 სატურნი

0:1 პავლოვიჩი (63)

შინიკი 2:0 კრილია სოვეტოვი

1:0 ვასილიევი (45), 2:0 კუხარჟი (52)

ტორპედო — სპარტაკ-ალანია. ალექსანდრ შირკომ (მარცხნივ) ოსებს პირველი გოლი გაუტანა

ელისტაში ვალერი გაზაევს ულვაშები შეუტრუსეს. „ურალანი“ — ცსკა-ს შეხვედრის დასრულებამდე სამი წუთით ადრე დამწვრისა და სენსაციის სუნი დატრიალდა. ცხრილის ქვესკნელის მობინადრენი პირველადგილოსან არმიელებს ამარცხებდნენ, მაგრამ მოსკოველებმა ქულის გამოგლეჯა მაინც მოახერხეს.

ცსკა ჩემპიონატის დაწყებიდან სვლააკრეფილი მიაპობდა მეტოქეთა ჯებირებს, თუმცა წინა ტურში იაროსლავის „შინიკთან“ კინაღამ ცხვირი წაიმტვრია. „შინიკური“ ფრე შემთხვევითი არ ყოფილა. ვალერი გაზაევის გუნდმა ოდნავ უკლო, რაც ელისტაშიც გამოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ არმიელებმა „ურალანის“ კარში პირველად 37-ე წუთზე დაარტყეს. მანამდე ბრძოლა უმეტესად მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა. თუმც იმ პირველი დარტყმის შემდეგ შესვენებამდე დარჩენილ დროში მასპინძელთა საჯარიმოში გვარიანად დაცხა. სტუმართა ჩეხმა ლეგიონერმა ირჟი იაროშიკმა ალექსანდრ ფილიმონოვის რეაქცია ორჯერ შეამოწმა და მეკარემ ორჯერვე იყოჩაღა.

მეორე ტაიმის დასაწყისში გუნდებმა გაილაღეს და ორმხრივი შეტევები გააჩაღეს. რია-რიაში გოლებიც გავიდა. მასპინძელმა კოლოდინმა ცსკა-ს ყმაწვილ მეკარეს, აკინფეევს შორიდან გაუტანა.

ლიდერის შესაძლო დამარცხებით გამოწვეულმა სიხარულმა „ურალანი“ ააფორიაქა და მყისვე საპასუხო გაუშვეს. იაროშიკის მზაკვრულ დარტყმულს ფილიმონოვმა ვერაფერი მოუხერხა. წყვილი გოლის შემდეგ ბურთები ხან ერთი, ხან მეორე კარის ძელხარიხას ეხეთქებოდა. მხოლოდ შეხვედრის მიწურულსღა იხეირეს მეტოქეებმა. მატჩის ბოლოს ზურაბ წიკლაურმა აკინფეევს აულებელი დაურტყა და ყალმუხელი ქომაგობა კინაღამ გადაირია. ვალერი გაზაევის მეომრებმა იბრძოლეს და კირიჩენკოს ზუსტმა თავურმა არმიელებს ქულა შეაწია.

ცსკას წაფორხილებით დედაქალაქურმა „დინამომ“ ისარგებლა. ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცი“ ერთბურთიან სხვაობით დაამარცხა და ცხრილში ზემო მეზობელს მიუცუცქდა. მეთხუთმეტე წუთამდე თამაშის შემყურე რუსფანობა მთქნარებაში ვარჯიშობდა. მერე მობურთალნი გამოცოცხლდნენ, ეს კი „დინამოს“ მცველების ბრალი იყო. მათ ყოფილი თანაგუნდელი ოლეგ ტერიოხინი თამაშგარეში ეგონათ, ფორვარდმა კი მშვიდად გაუტანა ბერეზოვსკის.

მოსკოველთა თავკაცმა ვიქტორ პროკოპენკომ შეგირდები შეახურა და დინამოელებიც გააქტიურდნენ. შესვენებამდე გათანაბრებაც მოახერხეს. სტუმართა საჯარიმოში არეულობით პირტიტველა კორჩაგინმა ისარგებლა და ბურთი მეკარის ზურგსუკან კარში ჩაასვენა.

მეორე ნახევარი მასპინძლებმა სწრაფი შეტევებით დაიწყეს და სანამ ზღვისპირელები დალაგდებოდნენ, კორჩაგინმა კორომანის ქუსლური პასით თავისიანები დააწინაურა. მოსკოველთა სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. მათ კარში მალე თერთმეტმეტრიანი დანიშნეს, რომელიც „დინამოს“ მწვრთნელ-ფეხბურთელებმა ერთობლივად გააპროტესტეს. ამის მიუხედავად, ტერიოხინმა მშვიდად გაათანაბრა. ზღვისპირელებს ქულის წაღება მაინც არ ეწერათ. მატჩის დასრულებამდე ათი წუთით ადრე კვლავ კორომანის პასით ჩესნაუსკისმა მესამე და შეხვედრაში ბოლო გოლი გაიტანა.

სანკტ პეტერბურგის „ზენიტის“ ჩეხმა მწვრთნელმა ვლასტიმილ პეტრჟელამ გუნდის გაახალგაზრდავება გადაწყვიტა და არც შემცდარა. მან ძირითად შემადგენლობაში ყმაწვილკაცები ათამაშა და გაუმართლა კიდეც — „ტორპედო-მეტალურგი“ სოლიდურ სხვაობით დაამარცხეს.

ვლადიკავკაზის „ალანიამ“ თუ ასე გააგრძელა, ყოველ მომდევნო მატჩში ახალი მწვრთნელი ეყოლება. გასულ ტურში შინ „ზენიტის“ წინააღმდეგ „ალანიას“ ოლეგ იანოვსკი თავკაცობდა და 0:2 წააგო. მოსკოვში გუნდი ახალ მწვრთნელ ნიკოლაი ხუდიევის თამადობით ჩავიდა და 0:2. „ტორპედომ“ ვლადიკავკაზელები შეხვედრის მიწურულსღა გატეხა. ისიც სათქმელია, რომ მატჩი „ლუჟნიკების“ ახალდაგებულ ხელოვნურ საფარზე გაიმართა და ბურთი, როგორც ყინულზე შაიბა, ისე დაჰქროდა.

შეხვედრის შემდეგ ნიკოლაი ხუდიევმა დაიჩივლა: ჩვენი პრობლემები რომ ჩამოვთვალო, ორივე ხელის თითები არ მეყოფაო."

ვაჟა ხუციშვილი

ცსკა	13	9	3	1	25:12	30
სატურნი	13	7	4	2	20:11	25
დინამო	13	7	3	3	27:14	24
ზენიტი	13	6	3	4	13:15	21
რუბინი	13	5	4	4	17:12	19
ტორპედო	13	5	4	4	16:14	19
ლოკომოტივი	13	5	3	5	17:17	18
როსტოვი	13	4	6	3	12:16	18
შინიკი	13	3	8	2	17:13	17
კრილია	13	4	5	4	16:12	17
ჩერნომორეცი	13	3	6	4	15:17	15
სპარტაკი	13	3	4	6	14:18	13
როტორი	13	3	4	6	14:19	13
ალანია	13	4	0	9	9:25	12
ტ. მეტალურგი	13	2	4	7	10:14	10
ურალანი	13	1	5	7	7:20	8

სიახლე საქართველოში!

35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები, აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე

გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის, ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით, საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91

53-76-82 899 56-18-49

სარგებელი: კრიკეტ

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ესპანეთი. I დივიზიონი. XXXVIII ტური						
		21 ივნისი						
22.00	001	რაიო-უელვა	2,0	3,3	3,4	1,24	1,25	1,67
23.00	004	მალიორკა-მალაგა	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
23.00	005	სევილია-ვალენსია	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
23.00	007	ალავესი-ვალიადოლიდი	2,05	3,3	3,3	1,26	1,26	1,65
23.30	002	რასინგი-ოსასუნა	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
23.45	003	დეპორტივო-ესპანიოლი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
		22 ივნისი						
22.00	006	ვილიარეალი-ბეტისი	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
24.00	008	ბარსელონა-სელტა	1,3	4,8	8,0	1,02	1,11	3
24.00	009	სოსიედადი-ატლეტიკო	1,3	4,4	8,0	1	1,11	2,83
24.00	010	რეალი-ბილბაო	1,25	5,0	9,0	1	1,09	3,21
		დანია. XXXIII ტური						
		22 ივნისი						
18.00	032	ფარუმი-ვიბორგი	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76
18.00	033	მიდტიულანდი-აკადემისკი	1,9	3,4	3,5	1,21	1,23	1,72
18.00	034	კიოგე-ოდენსე	6,0	4,2	1,45	2,47	1,16	1,07
18.00	035	კოპენჰაგენი-ორჰუსი	1,25	5,3	8,0	1,01	1,08	3,18
18.00	036	სილკებორგი-ბრიონდბიუ	4,6	4,0	1,6	2,13	1,18	1,14
18.00	037	ესბიერგი-ოლბორგი	1,75	3,5	4,0	1,16	1,21	1,86
		შვედეთი. XI ტური						
		22 ივნისი						
20.00	060	იორებრო-ენკიოპინგი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
	061	იორებრო-ენკიოპინგი 0:1	2.05	3,2	2,45			
		23 ივნისი						
22.00	062	ჰელსინგბორგი-ლანდსკრონა	1,65	3,4	5,0	1,11	1,24	2,02
22.00	063	ელფსბორგი-აიკ	2,9	3,2	2,3	1,52	1,28	1,33
22.00	064	გიოტებორგი-სუნდსვალი	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02
23.00	065	იურგორდენი-მალმიო	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02
		ნორვეგია. XI ტური						
		22 ივნისი						
21.00	067	ლილესტრიომი-სოგნდალი	2,05	3,4	3,2	1,27	1,24	1,64
21.00	068	ბოდიო გლიმტი-ვიკინგი	2,3	3,3	2,8	1,35	1,26	1,51
21.00	069	მოლდე-ალესუნდი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
	070	მოლდე-ალესუნდი 0:1	1,95	3,2	2,6			
21.00	071	ტრომსიო-ვოლერენგა	2,45	3,4	2,45	1,42	1,22	1,42
21.00	072	ლინი-ოდ ვრენლანდი	1,8	3,5	3,6	1,18	1,19	1,77
23.15	073	სტაბეკი-რუსენბორგი	4,6	3,6	1,65	2,01	1,21	1,13
		23 ივნისი						
22.00	074	ბრინი-ბრანი	1,75	3,5	4,0	1,16	1,21	1,86
		ფინეთი. თასი						
		23 ივნისი						
20.30	086	ჰიკ-ჰაკა	2,15	3,3	3,1	1,3	1,26	1,59
21.00	087	ტურკუ-მიუპა	3,3	3,4	2,0	1,67	1,24	1,25
		კონფედერაციის თასი						
		20 ივნისი						
22.00	116	კოლუმბია-ახალი ზელანდია	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
24.00	117	საფრანგეთი-იაპონია	1,35	4,0	9,0	1	1,17	2,76
		კრივი						
		21 ივნისი						
24.00	607	ლუისი-ვ.კლიჩკო	1,15	12,0	4,0	1,04	1	3
		ინტერტოტოს თასი						
		21 ივნისი						
19.00	088	ბანგორი(უელსი)-ელორია(რუმინეთი)	4,2	3,4	1,75	1,87	1,23	1,15
20.00	089	ოფკ(სერბეთი)-ტრანსი(ესტონეთი)	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
20.00	090	შახტიორი(ბელარუსი)-ომაგი(ჩრდ.ირლანდია)	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
21.00	091	ბრნო(ჩეხეთი)-კოტაიკი(სომხეთი)	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
21.00	092	დინაბურგი(ლატვია)-ვილი(შვეიცარია)	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
21.00	093	დუბნიცა(სლოვაკეთი)-ოლიმპიაკოსი(კვიპროსი)	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
21.00	094	დაჩია(მოლდოვა)-ეოტუ(ფარერები)	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
22.00	095	პარტიზანი(ალბანეთი)-მაკაბი(ნეტანია/ისრაელი)	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54
22.00	097	სლობოდა(ბოსნია)-აკურეირი(ისლანდია)	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
23.00	098	ეტო(უნგრეთი)-ეთნიკოსი(კვიპროსი)	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
23.00	099	ოდრა(პოლონეთი)-შემროკი(ირლანდია)	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
		22 ივნისი						
15.00	100	ენკამპი(ანდორა)-ლიერსი(ბელგია)	14,0	6,0	1,15	4,19	1,06	1
19.00	101	ჟალგირისი(ლიტვა)-იორგრიტე(შვედეთი)	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
20.30	102	კოპერი(სლოვენია)-ზაგრები(ხორვატია)	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49
20.30	103	სუტიესკა(სერბეთი)-უნიონი(ლუქსემბურგი)	1,1	7,5	17,0	1	1,03	5,2
20.30	104	ალიანსი(ფინეთი)-ჰიბერნიანსი(მალტა)	1,15	6,0	14,0	1	1,06	4,19
21.00	105	პაშინგი(ავსტრია)-ვიტ ჯორჯია(საქართველო)	1,45	3,6	5,6	1,03	1,15	2,19
21.00	106	სპარტაკი(სლოვაკეთი)-პობედა(მაკედონია)	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
21.00	107	ვიდეოტონი(უნგრეთი)-მარეკი(ბულგარეთი)	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
21.00	108	პოლონია(პოლონეთი)-ტობოლი(ყაზახეთი)	1,2	5,0	9,0	1	1,05	3,21
21.00	109	ტამპერე(ფინეთი)-ჩახლაული(რუმინეთი)	2,05	3,2	3,4	1,24	1,27	1,64

სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიდომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, Ie კორპუსი

პროგრამ შემმუშავებელ საუფასო დრო გაანგარიშება

შაბათი 12.00-21.30

კვირა 12.00-20.30

ბანკანს იმ არა ორიმე ბანდი მატჩში ბილს (ძირითადი დრო)

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო			1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
				20 ივნისი							
22.00	2105	კოლუმბია-ახ.ზელანდია	1,7	15,0	30,0	3,4	4,8	14,0	25,0	12,0	12,0
24.00	2106	საფრანგეთი-იაპონია	1,7	15,0	30,0	3,5	4,6	14,0	30,0	14,0	14,0

რიმეილი ბენდი ბახსნის მატჩში არბარიტრ

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შესული წაგებულად ჩაითვლება)

		20 ივნისი		
22.00	2405	კოლუმბია-ახალი ზელანდია	1.25	3.6
24.00	2406	საფრანგეთი-იაპონია	1,25	3,6

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

I ტაიმის შედეგი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		20 ივნისი						
22.00	2005	კოლუმბია-ახალი ზელანდია	1,6	2,8	7,0	1,01	1,3	2
24.00	2006	საფრანგეთი-იაპონია	1,65	2,7	6,5	1,02	1,31	1,9

რიმეილ ტაიმში ბავა მეტი გოლი

			I-ში	თანაბრად	II-ში
		20 ივნისი			
22.00	2505	კოლუმბია-ახალი ზელანდია	3,0	2.8	2.0
24.00	2506	საფრანგეთი-იაპონია	3,0	2.8	2,0

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი	№2 ცენტრალური ფოსტამტი
	გლდანი	I საავჭრო ცენტრი
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი")
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან"
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ª კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ევერიონის" შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	ცხინვალის გზატკეცილი №11	წმინდანყლის დასახლება
	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	
	კოსტავას გამზირი №23	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა №21	ყოფილი სტალინის ქუჩა
	ერას ქუჩა №66	ყოფილი გორკის ქუჩა
	ჯავახიშვილის ქუჩა №78	
	ჭავჭავაძის ქუჩა № 113	
	აღმაშენებლის ქუჩა № 21	(საავჭრო ცენტრი ალამი 1)
	ჭავჭავაძის ქუჩა № 13	
ხელვაჩაური	აღმაშენებლის ქუჩა № 50	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
ფოთი	რკალი, რუსთაველის №18	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
ქობულეთი	სასტუმრო „ევერიის" მიმდებარე ტერიტორია	
სარფი	საბაჟო პუნქტის პირდაპირ	

ვახტანგ ნაცვლიშვილი სპორტის ისტორიაში შევიდა

მთელ პორტუგალიას საქმე ქართულად გაურჩია და მისაღები ოქრო მიიღო

ვაჟიკო კეთილაძის ფოტო

ვახტანგ ნაცვლიშვილს თბილისში უნიკალური სპორტული ჯილდო მოაქვს

ასეთი რამ თავში მხოლოდ ქართველს თუ მოუვიდოდა: გუშინ გამცნეთ, ოლივეირენშელმა ვახტანგ ნაცვლიშვილმა პორტუგალიის ჩემპიონობა ფინალური სერიის ბოლო, გადამწყვეტ მატჩში რომ დაკარგა „ტელეკომთან", მაგრამ... „ჩემპიონის ოქროს მედალი სახლში, მაგიდაზე მიდევს" — გვითხრა გუშინ ვატომ, პორტუგალიაში რომ შევეხმიანეთ. ცხადია, ვიფიქრეთ, ხუმრობსო, მაგრამ იქვე დაამატა, აგერ, მე და აგერ, თქვენ, ჩამოვალ და ჩემპიონის ოქროს მედალს თქვენი თვალით ნახავთო...

— ჩემპიონობის დაკარგვა ყველაზე მეტად ალბათ შენ გეწყინებოდა. შარშანდელისა არ იყოს, წლეულსაც შენ იყავი ოლივეირენშელთაგან საუკეთესო, მაგრამ...

— მეწყინებოდა, აბა, რა იქნებოდა, თამაშობ, თავს იკლავ და საბოლოოდ მაინც წაგებული რჩები. ფინალური სერიის ბოლო სამ მატჩში საკუთარ თავს ვძლიე, ტრავმის ზღვარზე ვითამაშე, ბოლოს დავშავდი კიდეც და მაინც არაფერი გამოვიდა.

— ბოლო მატჩებში მართლაც გამორჩეული იყავი. სამჯერ ბომბარდირი გახდი, მეხუთე გადამწყვეტი შეხვედრა კი სულაც შეუცვლელად ითამაშე...

— ჩემი შესაძლებლობების 120 პროცენტი გავიღე. ისე ძალიან მინდოდა ჩემპიონობა, რომ ბოლო მატჩებში თავი მოვიკალი და მტკივანი ფეხით ჩემი საუკეთესო თამაშები ჩავატარე პორტუგალიის ჩემპიონატში. გადამწყვეტ შეხვედრაში პირველი 10 ქულა „ოლივეირენშეს" მე მოვუხვეჭე, მატჩის ბომბარდირიც გავხდი, მაგრამ მსაჯებმა ყველაფერი წყალში ჩამიყარეს.

— წაგების მსაჯებისთვის დაბრალება ბევრისთვის გასამართლებელი საბუთია...

— მე მათ რიცხვს არ ვეკუთვნი, „ოლივეირენშე" აშკარად დაჩაგრეს.

— რატომ, რა მიზეზით?

— ის, რომ პორტუგალიის ჩემპიონატის სპონსორი კავშირგაბმულობის კომპანია „ტელეკომია", ვფიქრობ, საკმარისი საბაბია, ასე ვიფიქრო. ფინალში ჩვენი მეტოქის „ტელეკომის" ხელმძღვანელი აქაური პროფესიული ლიგის პრეზიდენტია, მეტი რა საბუთია საჭირო?! ერთიცაა, „ტელეკომი" ლისაბონის გუნდია, ოლივეირენშეს კი ქალაქსაც ვერ უწოდებ. აი, წალენჯიხისხელა, შესაძლოა, მასზე უფრო პატარა დაბაა. „ტელეკომმა" მხოლოდ ერთი, სერიის მეორე მატჩი მოგვიგო მსაჯთა დაუხმარებლად.

— ეს შენთვის მესამე პორტუგალიური სეზონი იყო და კვლავ უოქროო. მანდ დარჩენას და ჩემპიონობის მეოთხე ცდაზე მოგებას ხომ არ აპირებ?

— ვინ თქვა, რომ ოქროს გარეშე დავრჩი, პორტუგალიის ჩემპიონის მედალი აგერ მაქვს, სახლში, თუ არ გჯერა, ჩამოვალ და განახებ.

— ეგ როგორ, წაგებულს ოქროს მედალი საიდან?

— თავისი ნებით ვინ მომცემდა, მე თვითონ წავართვი. ზუსტად ისე, როგორც ჩვენ წაგვართვეს ჩემპიონობა.

— უცნაურს ამბობ ვის და როგორ წაართვი?

— გადამწყვეტი მატჩის შემდეგ დაჯილდოება მოეწყო. როგორც წესი, ჯერ წაგებულები მივედით პოდიუმთან. ლიგის პრეზიდენტს ჩემთვის ვერცხლის მედალი რომ უნდა ჩამოეკიდა, დავუსხლტი, ტელეკომელებისთვის გამზადებულ ერთ ოქროს მედალს დავავლე ხელი და გამოვბრუნდი. ერთი ამბავი ატყდა, ვინ აღარ მეხვეწა, მედალი დააბრუნეო — პრეზიდენტი, ლიგის ჩინოსნები, თანაგუნდელები, თითქმის ნახევარი დარბაზი. არ დავთმე. აი, როგორც თქვენ წაგვართვით ჩემპიონობა, ვუთხარი ლიგის პრეზიდენტს, თან ტელეკომელთა პრეზიდენტიცაა რომაა, მეც ისე გართმევთ ამ მედალს-მეთქი. რომ მიხვდნენ, პრეზიდენტს არაფერი გამოუვიდა, ვინ აღარ მოვიდა, ტელეკომის ქომაგებიც დამემუქრნენ. ისე ვიყავი უსამართლობით გახელებული, იმდენად აშკარად ვიმსახურებდით ჩემპიონობას, რომ გადავწყვიტე, მედალი არაფრის დიდებით არ დამეთმო. მთხოვნელებს ვუთხარი, გინდათ, მიჩივლეთ და გინდათ, მეჩხუბეთ, თუ მომერევით, მედალიც თქვენ დაგრჩებათ-მეთქი. მიხვდნენ, რომ არაფერი გამოუვიდოდათ და თავი დამანებეს.

— მართლაც უცნაურია. გაგრძელება არ მოჰყვა ამ ამბავს?

— არა, რა გაგრძელება, ხომ გითხარი, მედალი მე მაქვს-მეთქი. ლიგის მესვეურები ალბათ ხვდებიან თავიანთ შეცდომას, ფინალში უსამართლოდ რომ მოგვექცნენ და, ეტყობა, შეელიენ ამ მედალს.

— ესე იგი, ერთი ტელეკომელი უმედლოდ დარჩა...

— ჯერჯერობით ასეა, ერთ-ერთი უმედლოდაა, არ ვიცი, ახალს დაამზადებენ, თუ რას იზამენ, მე დავიმსახურე და აგერ, კისერზეც ჩამოვიკიდებ.

— გამოდის, წინასწარ ყოფილხართ განწირულები...

— ყველა მაგას ლაპარაკობდა, მაგრამ წინასწარ როგორ დავნებებულიყავით, ბოლომდე ვიბრძოლეთ. ისე, ჩემი გუნდი რაღაც ცრურწმენებით ებრძოდა ტელეკომელებს, ფინალამდე ყველამ თავი ყვითლად შეიღება. აბა, მე რას შევიღებავდი, ნბა-ს ფინალში რომ გავიდე, მაგ საქმეს მაინც არ ვიზამ-მეთქი. ჰოდა, მეუბნებოდნენ, კლონი ხარ, ყველა ერთმანეთს ვგავართ,თეთრი ყვავივით ხარო. ფინალურ მატჩებში ყველას რომ ვაჯობე, მერე იმათ დასცინოდა ხალხი, კლონები თქვენ ყოფილხართო.

— შენი სამომავლო გეგმები...

— ბოლო მატჩის უკანასკნელ წუთზე მუხლი ვიტკინე და ჯერჯერობით ფეხს უნდა მივხედო. ერთი კვირა აქ ვიმკურნალებ და მერე თბილისში წამოვალ. რაც შეეხება კარიერას, თავისუფალი აგენტი ვარ და ჯერ მხოლოდ ჩემმა გუნდმა, „ოლივეირენშემ" შემომთავაზა, დარჩიო. არ ვიცი, რას ვიზამ. ისე, დავიღალე ამ პორტუგალიაში, ეგებ სხვა ქვეყანაში გადავბარგდე. გააჩნია, რა ვარიანტები მექნება...

ირაკლი პერტაია

ვაშინგტონს ჯორდანი გაწვრთნის

ის არა, თქვენ რომ იფიქრეთ



ედი ჯორდანი, „ვაშინგტონის" მე-7 თავკაცი ბოლო 6 წელიწადში

მაიკლ ჯორდანის ყოფილი კლუბი „ვაშინგტონ ვიზარდსი" დუგ კოლინზის გაშვების შემდეგ კარგა ხანს ეძებდა მთავარ მწვრთნელს. დედაქალაქური კლუბის მილიონერმა მფლობელმა ები პოლინმა და გენერალურმა მენეჯერმა ვეს ანსელდმა ბევრი ეძებეს თუ ცოტა, ბოლოს მიაგნეს სასურველ სპეციალისტს. გავრცელდა, რომ ვაშინგტონელ ჯადოქრებს ჯორდანი გაწვრთნის. მხოლოდ ნუ იფიქრებთ, რომ საუბარი მაიკლ ჯორდანზეა. მის მოხუც უდიდებულესობას კლუბმა სეზონის დამთავრებისთანავე მოუჯახუნა კარგი. „ვაშინგტონის" მომავალი მწვრთნელი ედი ჯორდანი იქნება, ვინაც მანამდე „ნიუ ჯერსი ნეტსის" მთავარ მწვრთნელ ბაირონ სკოტის პირველი ასისტენტი გახლდათ.

მაიკლივით არა, მაგრამ ედი ჯორდანი საკმაოდ ცნობილი კაცია ნბა-ში. არცთუ შორეულ წარსულში ის სეზონნახევარი წვრთნიდა „საკრამენტო კინგზს" და არცთუ წარმატებით. ახლა მას კარგ რეკომენდაციას აძლევს მისი ყოფილი შეფი ბაირონ სკოტი, რომელმაც ედის დახმარებით „ნეტსი" ბოლო ორი პლეი ოფის ფინალში გაიყვანა — „მჯერა, „ვაშინგტონი" ორგანიზაციული პრობლემებით სავსეა, თან ამაყლოოულად ამბიციური გუნდია, მაგრამ ვფიქრობ, ედი მზადაა იქ სამუშაოდ და თავს გაართმევს საქმეს."

ები პოლინი და სხვა ბოსები ედი ჯორდანს პირველ რიგში სწრაფ შედეგს მოსთხოვენ. კლუბი დაიღალა წარუმატებლობებით, „ვიზარდსი", რომელსაც 1997 წლამდე „ბულიტსი" ერქვა, თითქმის ვერ ხვდება ხოლმე პლეი ოფში, ხოლო თუ ხვდება, პირველივე წრიდან ვარდება. ყოველ შემთხვევაში, 1988 წლიდან „ვაშინგტონს" საპლეიოფო სერია არ მოუგია და რა გასაკვირია, თუ დედაქალაქის საკალათბურთო წრეებში ყველა გაღიზიანებულია. კლუბის მამებმა არ შეიწყნარეს და თავიდან მოიშორეს თვით მაიკლ ჯორდანი, ასე რომ, მის მოაგვარეს, „ვილაც" ედის ძვირად აპატიებენ შეცდომებს. ედი ჯორდანი ბოლო ექვს წელიწადში „ვაშინგტონის" მეშვიდე მთავარი მწვრთნელია.

ახალი თავკაცი ჰყავს „ტორონტო რეპტორზსაც". კანადურმა კლუბმა ამას წინათ გაშვებული სახელოვანი სპეციალისტის ლენი ვილკენსის ნაცვლად „ტირანოზავრთა" მწყემსად მავანი კევინ ონეილი აიყვანა, რომელმაც სამწვრთნელო კარიერა სტუდენტურ ლიგაში დაიწყო, ხოლო ბოლო ორი სეზონი რიკ კარლაილს ეხმარებოდა „დეტროიტ პისტონზის" გაწვრთნაში.

ონეილზე ისაა ცნობილი, რომ ის მკაცრი თავკაცია და, ისევე როგორც მისი ყოფილი შეფი კარლაილი, დაცვითი თამაშის მიმდევარია. „ტორონტოში" მას უთუოდ მოსთხოვენ წესრიგსი დამყარებას და მოთამაშეთა თავიდან არასაკალათბურთო სისულელეების „გამობერტყვას." ყველაფერთან ერთად ონეილმა შედეგზეც უნდა იზრუნოს, რაკი „ტორონტომ" წინა სეზონი მხოლოდ 24 გამარჯვებით ცენტრალურ დივიზიონში მეშვიდე ადგილზე დაასრულა და, რაღა თქმა უნდა, პლეი ოფშიც ვერ მოხვდა.

კევინ ონეილი „ტორონტომ" ორი წლით დაიქირავა და წლიურ გასამრჯელოდ დაახლოებით 1,6 მილიონი დაუნიშნა.

კოტე ყორშია

„ტორონტოს" გენმენეჯერმა გლენ გრუნვოლდმა საზოგადოებას ახალი მწვრთნელი კევინ ონეილი (მარცხნივ) წარუდგინა

Euroleague

ბებერი კონტინენტის უპრესტიჟულესი ტურნირის სამომავალსეზონო კონტურები უკვე მოიხაზა. ევროლიგა ოქტომბრიდან გახურდება, ორიოდ დღის წინ კი მასში მონაწილეთა არასრული სია გამოქვეყნდა. კენჭისყრის დრო და ადგილიც დაითქვა: 24 გუნდს სამ ჯგუფში ისრაელის დედაქალაქ თელ ავივში 7 ივლისს გადაანაწილებენ. 2003-2004 წლების სეზონის ოთხთა ფინალიც ებრაელთა მთავარქალაქში გვიან გაზაფხულზე გაიმართება.

ბენეტონი იტალია
სკიპერი იტალია
კინდერი იტალია
რომა იტალია
ბარსელონა ესპანეთი
ტაუ ესპანეთი
პამესა ესპანეთი
უნიკახა ესპანეთი
ულქერი თურქეთი
ეფესი თურქეთი
მაკაბი ისრაელი
პო ორტეზი საფრანგეთი
ვილერბანი საფრანგეთი
აეკ საბერძნეთი
ოლიმპია სლოვენია
კრკა სლოვენია
პარტიზანი სერბეთ-ჩერნიგ.
ცსკა რუსეთი
შლიონსკი პოლონეთი
ჟალგირისი ლიტვა
ციბონა ხორვატია
ალბა გერმანია

ევროლიგელთა ამ სიას ორი გუნდი აკლია, რომლებიც 7 ივლისამდე გამოვლინდებიან.

სიბერეს მოუკვდა მომგონი

დევჭალა დევენპორტიც დაიღალა

HASTINGS DIRECT INTERNATIONAL CHAMPIONSHIPS
ინტბორნი, ბალახი
საპრიზო 585 ათასი დოლარი

მეორე წრე

სილვია ფარინა ელია (იტალია) — ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) 6:4, 3:6, 7:6 (7:3); ჩანდა რუბინი (2, აშშ) — ტამარინე ტანასუგარნი (ტაილანდი) 6:0, 6:3; ჯენიფერ კაპრიატი (3, აშშ) — ემი ფრეზერი (აშშ) 6:1, 7:5; დანიელა ჰანტუხოვა (4, სლოვაკეთი) — ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) 7:6 (7:3), 6:4; ნატალი დემი (საფრანგეთი) — აი სუგიამა (7, იაპონია) 6:1, 7:5; მაგდალენა მალეევა (8, ბულგარეთი) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 3:6, 7:5, 6:3; კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — ამანდა კუცერი (სამხრეთ აფრიკა) 7:5, 6:3; ანა პისტოლეზი (ისრაელი) — საორი ობატა (იაპონია) 7:6 (7:5), 4:6, 7:6 (7:5).

დღის უმთავრეს მოულოდნელობად ტურნირის 2001 წლის პირველობის ლინდსი დევენპორტის გავარდნა იქცა. მსოფლიოს ოდინდელ პირველმეჩოგნე ისერა იტალიელმა ფარინა ელიამ აოტა.

არადა — ყველანაირი წანამძღვარი არსებობდა საიმისოდ, რათა ლინდსის ეს ამბავი არ დამართნოდა. ერთი ის, რომ მათ აქამომდელ ხუთ შეხლაში სახელიან ამერიკელს უსახელო იტალიელი ხუთჯერვე მოეთელა. მეორეც კიდევ ის, რომ დევენპორტს მესამე სეტში 3 მატჩბურთი ჰქონდა და გადამწყვეტი დარტყმისთვის ილაჯიც რომ მოეძია, წინასაუიმბლდონოდ უკეთეს განწყობას შეისაგზლებდა.

მაგრამ მისი უმთავრესი პრობლემა სწორედ უილაჯობა გამოდგა. და რა გასაკვირია — ქალი, რომელსაც შარშანდელი სეზონის ნახევარი ნაოპერაციევი მუხლის მოშუშებაში გაუცდა, ხოლო ახლა იმავ ფეხის ანთებული ნერვი აწვალებს, 133-წუთიანი მატჩის ბოლოსკენ მისავთებულიყო და სასიკვდილო ჩხვლეტის გასაკეთებლად ხელი გამრუდებოდა. ჰო, გასაკვირი მართლაც არაფერია და ლინდსიც ნამატჩევს სწორედ ამას ამბობდა: „მუხლი რიგიანად მაქვს, მაგრამ ნერვი კი არ მასვენებს. ეგეც არ იყოს — შეხვედრა დიდხანს გაგრძელდა და მაგრად დავიღალე. ეტყობა, ასე ხდება, როცა ბერდები“.



სილვია ფარინა ელია

REUTERS ინტბორნიდან

ლინდსი დევენპორტი

დაღლილ ლინდსის კი ფარინა ელია გაშმაგებით მიეძალა და — მართალია, მასზე ორით მეტი, ხუთი მატჩბურთი გაფლანგა, მეექვსეზე ჩოგანი აღარ აკანკალებია...

ეს დევენპორტის უკვე ზედიზედ მეორე დამარცხება იყო. წინა მარცხი მან როლანგაროსობის მეოთხე წრეში, უიმბლდონის 1994 წლის ჩემპიონ კონჩიტა მარტინესისგან იწვნია. ისე — ეგებ თქვენც გახსოვდეთ და — უიმბლდონზე ლინდსისაც უმარჯვია 1999 წელს. ოღონდ იმის ალბათობა, რომ იმ მიღწევის გამეორება მან ახლაც მოახერხოს, პრაქტიკულად ბუბლიკის ტოლია.

სხვაფრივ — მისგან განსხვავებით თავ-თავიანთი მატჩები 2-2 სეტზე მეტხანს არ გაუჯანჯლებიათ მე-2 და მე-3 ნომრებად განთესილ ამერიკელებს — ჩანდა რუბინსა და ჯენი კაპრიატის.

ჩია ჩანდა შარშანდელი ჩემპიონია — იმ ფინალში მან ანასტასია მასკინას ავჯობა. ამიტომაც მის მიერ ტაილანდელი ტანასუგარნის შემუსვრა არავის შეუცხადებია. ასევე ჯეროვანი და მოსახდენი გახლდათ კაპრიატისგან ვეტერანი თვისტომის ფრეზერის ძლევაც, თუმცა ემი ჯენის მაინც ჯიქურ და შეუპოვრად ეპაექრა.

ბუთქუნა ჯენიფერი — გეხსომებათ — როლანგაროსობიდან ნაადრევად დაითხოვეს, ამიტომაც ბალახსაფარზე დასაგეშად კი ორი კვირა ჰქონდა და, როგორც თავად ამბობს, შეირგო კიდეც.

და კიდევ — დამაჯერებლად და შთამბეჭდავად გაირჯა იმ დღეს სექსფეხება სლოვაკი დანიელა ჰანტუხოვა, ვინაც ლამის უკვე „საბარტყუნო მსხლად“ ქცეულ ალექსანდრა სტივენსონს მოუგო. ეს მათი მე-8 შეხვედრა იყო და ევროპელმა უკვე მეექვსედ იმარჯვა.

ნამატჩევს დანიელა სიხარულს ვერ მალავდა — მას ხომ ძალზედ მტკივნეულად მოხვდა როლანგაროსობის მეორე წრეში, საიდანაც ის სტივენსონის ქერა თვისტომმა ეშლი ჰარკლროუდმა გაბუნძულა. ჰოდა, ის ახლა ძალზედ მობილიზებულია და სურს, წლეულს ბალახზე მაინც განიცადოს ის სიტკბობა, რაც თიხნარზე ვერ მიიღო.

ORDINA OPEN
ჰერტოგენბოსხი, ბალახი
კაცებში
საპრიზო 380 ათასი ევრო

მეორე წრე

რაინერ სლოიტერი (ჰოლანდია) — პარადორნ შრიჩაფანი (2, ტაილანდი) 7:5, 6:4; სხენგ შალკენი (3, ჰოლანდია) — კრისტოფ როხუსი (ბელგია) 6:0, 6:0; ტომი რობრედო (6, ესპანეთი) — კენეტ კარლსენი (დანია) 6:4, 2:6, 6:3; იონ ვან ლოტუმი (ჰოლანდია) — ფრანტიშეკ ჩერმაკი (ჩეხეთი) 6:4, 6:3

რაიმონ სლოიტერი ერთი ისე-რა ჰოლანდიელი მეჩოგნეა და ჩვენს მიმოხილვებშიც მხოლოდ აქა-იქ თუ გაიკიაფებს ხოლმე. ძირითადად ეს მის მშობლიურ ჰოლანდიაში ხდება, სადაც თავს შედარებით კომფორტულად გრძნობს და, ეგ კი არა, ორჯერ ფინალამდეც მიუღწევია. საკუთრივ ჰერტოგენბოსხურ ტურნირზე კი მან უკვე მეორედ შეძლო მეოთხედფინალში თამაშის უფლების მოპოვება.

ეს უფლება მან იმ დღეს პიტალო ტაილანდელის, პარადორნ შრიჩაფანის მორჯულებით მიიღო.

შრიჩაფანი წლეულს საზიზღრად ჩოგნაობს. მისი თიხნარვაინარრობათა მხლველებს გვეგონა, შარშანდელი სეზონის უდავო აღმოჩენა სწრაფსაფარებზე მაინც გამოიღებდა ხელს, მაგრამ ხელი პარადორნს გამოუღებლი დარჩა — უკანასკნელ ხუთ ტურნირზე მან მხოლოდ ერთი გამარჯვება მოიმკა.

სამაგიეროდ, მშობლიურ ნიადაგზე კვლავ დასტურ გაირჯა შარშანდელი ჩემპიონი სხენგ შალკენი, ვინაც ბელგიელი როხუსი 53 წუთში გაანულავა.

ძალები
საპრიზო 170 ათასი ევრო

მეორე წრე

კიმ კლაისტერსი (1, ბელგია) — კარა ბლეკი (ზიმბაბვე) 6:4, 6:4; ფუსტინ ენენ-არდენი (2, ბელგია) — მარია-ანტონია სანჩეს-ლორენსი (ესპანეთი) 6:4, 6:3; ბარბარა რიტნერი (გერმანია) — ამელი მორესმო (3, საფრანგეთი) 6:7 (1:7), 6:0, 7:5; ელენა დემენტიევა (4, რუსეთი) — ელს კალენსი (ბელგია) 6:2, 6:1; ნადია პეტროვა (5, რუსეთი) — სტეფანი კოენ ალორო (საფრანგეთი) 4:6, 6:2, 6:0; ირინა ტულიაგანოვა (6, უზბეკეთი) — ანჯა ბარნა (გერმანია) 6:3, 6:3; ტინა პისნიკი (სლოვენია) — კატარინა სრებოტნიკი (8, სლოვენია) 3:6, 6:3, 6:4

საქმეში ჩახედული მკითხველი ანგარიშებზევე დაატყობს, რომ ჰერტოგენბოსხში თავმოყრილ ქალთა იმდღევანდელი განდაგანებიდან უწინარესად ბარბარა რიტნერისა და ამელი მორესმოს შეხლა უნდა გამოირჩეს, მიზეზი ძალზედ გამჭვირვალეა — უსახელო გერმანელმა ხომ ტურნირს მესამე ნომრად განთესილი მეჩოგნე მოაკლო.

თუმცა დასავლური სააგენტოები ამ მატჩზე გულდაგული მსჯელობით თავს არ იკლავენ. ყველას ყურადღების ცენტრში ამჯერად ბელგიელი სუპერგოგოები — ახლახან როლანგაროსულ ფინალში ნარჩოლავები კიმ კლაისტერსი და ჟუსტინ ენენ-არდენი არიან.

კიმი და ჟუსტინი ტურნირზე პირველ-მეორე ჩოგნებს აქნევენ და ამ ქნევის საპირველწრეო შედეგები აქვეა — უპრობლემო გამარჯვებები!

ცხადია, ყველა — სპეციალისტიც და ქომაგიც აქედანვე მაოი საფინალო დაპირისპირების მოლოდინშია. ამგვარი დაპირისპირება იქ ერთხელ უკვე მომხდარა — 2001 წლის ფინალში, ისევე რიგორც ორი კვირის წინ როლანგაროსობაზე, ციდა ჟუსტინმა ფუმფულა თვისტომის დამარცხება მოახერხა.

რა იქნება ამ ჯერზე? რომელი მათგანი დაიბევებს უკეთეს წინასაუიმბლდონო განწყობას? პასუხებს ამ კითხვებზე სულ რაღაც ორიოდ დღეში შევიტყობთ.

THE SAMSUNG OPEN
ნოტინგემი, ბალახი
საპრიზო 380 ათასი ევრო

უეინ ართურსი (ავსტრალია) — იუნეს ელ აინაუი (1, მაროკო) 6:4, 7:6 (8:6); პიშამ არაზი (მაროკო) — მაკს მირნი (6, ბელარუსი) 7:6 (7:4), 6:2; ტაილორ დენტი (7, აშშ) — ნენად ზიმონიჩი (სერბეთი და ჩერნიგორია) 7:6 (7:2), 6:4; მარდი ფიში (8, აშშ) — მიხელ კრატოხვილი (შვეიცარია) 6:3, 6:4; იონას გიორკმანი (შვედეთი) — არვინდ პარმერი (ბრიტანეთი) 7:6 (7:5), 6:2; გრეგ რუზეტკი (ბრიტანეთი) — ოლივიე როხუსი (ბელგია) 6:4, 6:1



REUTERS ნოტინგემიდან

გრეგ რუზეტკი

მოდით, ჯერ ავსტრალიელი ვეტერნის, უეინ ართურსისა ვთქვათ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ტურნირს პირველ ნომრად განთესილი თმაგრუზა მაროკოელი ელ აინაუი გამოიკლო. მეორეც იმიტომ, რომ შარშანდელი ფინალისტია, ჩოგბურთის დამსახურებული მუშაკია და მეოთხედფინალში მას შემდეგ აღარ გასულა, როცა რომ მარტში კოპენჰაგენურ ნახევარფინალს უწია.

ელ აინაუის მან იმ დღეს დამაჯერებლად აჯობა — წინასწარ განსაზღვრა, რომ შედარებით სუსტი ხელუკუღმის მქონე მეტოქისთვის სწორედ სახელუკუღმოდ უნდა ეხათქუნა და მთელი მატჩის განმავლობაშიც ამ ტაქტიკას მისდია.

ტაქტიკამ — თავადაც ხედავთ — კაცურად გაამართლა...

იმარჯვა შარშანდელმა და 1998 წლის ჩემპიონმა იონას ბიორკმანმაც. შვედმა ბრიტანელი პარმერი მოგუდა და თავისი ნოტინგემური ბალასნი 4 მარცხის წილ მე-17 გამარჯვებით გაიმყარა.

ბრიტანელ ქომაგთა ჯიგარი სანაცვლოდ იმ დღეს გრეგ რუზეტკიმ მოაოხა. ტურნირის 1997 წლის პირველსანმა, რომელიც 9-თვიანი ტრავმუქმობის გამო კორტს ეს-ესაა დაუბრუნდა, თავისი მე-4 საამსეზონო ბალახგამარჯვება ბელგიელი როხუსის ძლევით მიითვალა.

რუზეტკი თვალსა და ხელს შუა, თამაშიდან თამაშამდე იბრუნებს ფორმას და სავარაუდოდ — უიმბლდონზე მთლად ადრეეტაპებზევე არ უნდა დაიჩოგნოს.

ლევან ძელაურაძე

ნაკვეთი!

პრაიჩეკის სული სხეულთან დამარცხდა

რიხარდ კრაიჩეკს ძალიან არ უნდოდა ამის გაკეთება, მაგრამ იძულებული იყო. 1996 წლის უიმბლდონის ჰოლანდიელი ჩემპიონი გუშინ სამშობლოში მოწყობილ პრესკონფერენციაზე ოფიციალურად დაემშვიდობა კორტებს.

„მგონი, ჩემმა გადაწყვეტილებამ არ გაგაოცათ. დიდი ხანი ვფიქრობდი წასვლაზე და ამას ამერიკის ღია პირველობის შემდეგ ვგეგმავდი, მაგრამ ვგრძნობ, რომ იქამდე ლოდინი უაზრობაა, დღეს გასაკეთებელი საქმის გაჭიანურებაა. მინდოდა, მეთამაშა ამ უიმბლდონზე, მაგრამ ხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რაიმე შანსი მექნებოდა... რამდენიმე წელი ვებრძოდი ჩემს სხეულს და საბოლოოდ დავმარცხდი. მიჭირს ჩოგბურთიდან წასვლა, რადგან ჩემთვის ყველაფერი იყო. კორტებზე ავისრულე ჩემი უდიდესი ოცნება, მოვიგე უიმბლდონი და ამას ვერავინ დამიკარგავს. ახლა კი, როცა ჩემი გზა გავლილ, წასვლის დროც დამიდგა“.

ემოციებით დატვირთულ პრესკონფერენციაზე კრაიჩეკი კიდეც აცრემლდა. როგორც თავად თქვა, მისი გზის დასასრული გამოჩნდა და მანაც გადაუხვია გზიდან. იძულებული იყო, ასე მოქცეულიყო. მან გადაიტანა მუხლის ოთხი ოპერაცია და აგრეთვე იდაყვის და ტერფის ოპერაციები. ბოლო წლებში ის თითქმის ვერ თამაშობდა და ხალხს თავი დაამახსოვრა, როგორც ჩოგბურთის ისტორიაში ერთ-ერთმა ყველაზე ტრავმახშირმა ჩოგბურთელმა.



რიხარდ კრაიჩეკი

თუმც რიხარდ კრაიჩეკის სახელი მხოლოდ სხვადასხვა კლინიკების ნაოპერაციევ პაციენტთა აღძრიცხავ ჟურნალებში როდი ჩაიწერა. ის პირველ რიგში უდიდესი ტურნირის უიმბლდონის მოგებითაა ცნობილი. 1996 წელს მან ფინალში პიტ სამპრასი დაამარცხა. და შეიქნა პირველი და ერთადერთი ჰოლანდიელი, ვისაც უიმბლდონი მოუგია. კრაიჩეკმა კიდევ 16 ტურნირი მოიგო. 1999 წელს კი ბისკინის ტურნირის მოგების შემდეგ მსოფლიოს პირველ ჩოგნად აღზევების შანსი გაუჩნდა, მაგრამ რიხარდს ტრავმებმა გადაუღობა გზა.

2002 წელს მან თითქის მოახერხა ფორმის აღდგენა და უიმბლდონის მეოთხედფინალამდეც იომა, მაგრამ ისევ ტრავმებმა მოწყვიტეს საყვარელ საქმეს. ოღონდ ამჯერად ბოლოს პირველი ჩოგნობისთვის მებრძოლმა კრაიჩეკმა 2002 წელი რეიტინგსიის 112-ე საფეხურზე დასრულა.

რა დრო იყო...

წყალჯოგარდობის სადგურიდან ოლიმპიადამდე

დღეს დიდ წყალბურთში უცხოელთა პაექრობებისკენ გაგვირბის თვალი, მაგრამ იყო დრო, მარაქაში ქართველებიც ტრიალებდნენ და მნიშვნელოვან ფიგურებსაც წარმოადგენდნენ.

ქართველი წყალბურთელები თავიანთ სიტყვას ამბობდნენ როგორც თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში, ისე საბჭოთა კავშირის უპირველეს გუნდშიც. საბჭოთა ნაკრების ისტორია მუდამ ქართველებთან ერთად იწერებოდა. ამ ისტორიას წერდნენ როგორც საქართველოში მცხოვრები, ისე დროებით ან მუდმივად მოსკოვში დასახლებული ჩვენი წყალბურთელები. იქ დაფუძნებულთაგან განსაკუთრებით გაითქვა სახელი ქართული წყალბურთის ფესვებზე გაზრდილმა პეტრე მშვენიერაძემ, მერე კი ამ მშვენიერი გვარის მშვენიერმა წარმომადგენლებმა, მისმა შვილებმა ნოდარმა და გიორგიმ, რომლებმაც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო წყალბურთელების სახელი დაიგდეს.

ჩვენს დროში ასეთი წყალბურთელია მოსკოვში დაფუძნებული და დღეს რუსეთის ნაკრების საუკეთესო წევრი რევაზ ჩომახიძე.

ახლა კი, ახლა ქართული წყალბურთი, ისე როგორც სხვა მრავალი სახეობა, სულს ღაფავს და დამძიმებულ გულს წარსულის გახსენებით თუ ჩვენებურების წარმატებებით ვიხალისებთ. ამასვე ვცდილობთ დღევანდელ პუბლიკაციაშიც



პეტრე მშვენიერაძე (თეთრ ჯუდში)

ლერი გოგოლაძე



ნოდარ გვახარია

მიხეილ გიორგაძე

წყალბურთი საქართველოში პირველად 1920-იანი წლების დასაწყისში გაიცნეს, როცა საბჭოთა კავშირში თამაშის წესები შემოვიდა, 1925 წლიდან კი საკავშირო ჩემპიონატებსაც ჩაეყარა საფუძველი. ამ სახეობაში პირველი ასპარეზობა ჩვენთან 1927 წელს ბათუმში წყალჯოგარდობის დღესასწაულის პროგრამით გაიმართა. მაშინ წყალბურთს უბრალოდ თვითნასწავლი ცურვის მოყვარულები ზღვის სანაპიროებზე მოწყობილ წყალჯოგარდობის სადგურებში თამაშობდნენ, მსაჯი კი მათ ნავიდან ადევნებდა თვალს. ასე იყო ბათუმში, ფოთში, სოხუმში და ცოტა მოგვიანებით, თბილისში.

საქართველოში წყალბურთის სერიოზული დანერგვა საცურაო აუზების მშენებლობას უკავშირდება, მისი განვითარება კი 1940-იანი წლების დასასრულიდან იწყება. ამ საქმის პიონერები მოცურავეები იყვნენ. მათგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ლუკა იოაკიმიდი, რომელსაც საქართველოში ცურვისა და წყალბურთის პატრიარქს უწოდებენ. იგი ცურვის განვითარებასთან ერთად წყალბურთის დასანერგადაც ძალზე აქტიურობდა. იოაკიმიდი ერთდროულად მოცურავეც იყო, წყალბურთელიც, მათი მწვრთნელიც და მოთამაშე მწვრთნელიც.

საერთოდ, წყალბურთის თამაში, ბუნებრივია, ყოფილმა მოცურავეებმა დაიწყეს. მათ შორის იყვნენ საქართველოს მრავალგზის რეკორდსმენები პეტრე მშვენიერაძე, ნოდარ გვახარია და ბათუმელი პეტრე ბრეუსი. თუმცა მშვენიერაძე მალე მოსკოვში გადავიდა, სადაც იქაურ „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში თამაშისას მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი წყალბურთელი გახდა.

თბილისში წყალბურთის განვითარებაში ყველაზე დიდი წვლილი „დინამომ“ შეიტანა, რომლის წევრიც ნოდარ გვახარია იყო. ნოდარ გვახარია საქართველოს წყალბურთელთაგან გახდა პირველი სსრ კავშირის სპორტის ოსტატი (1953 წელი) და პირველი სსრ კავშირის დამსახურებული სპორტის ოსტატი (1960 წელი). მისი სახელი დაკავშირებულია საქართველოდან საკავშირო ჩემპიონატების პირველ პრიზიორთა სახელებთან. ესენი იყვნენ თბილისის „დინამოს“ წევრები, რომლებმაც საქართველოს ნაკრების სახელით 1956 წელს მოსკოვში მეორე ადგილი დაიკავეს. მაშინ საქართველოს ნაკრების შეხვედრები ასე დამთავრდა: მოსკოვის ნაკრებთან — 2:5, აზერბაიჯანის ნაკრებთან — 2:2, ლენინგრადის ნაკრებთან — 3:3, უკრაინის ნაკრებთან — 4:4, რსფსრ-ის ნაკრებთან — 4:1.

საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდნენ: ვლადიმერ ბარტაევი, ნოდარ გვახარია, ვლადიმერ გოიაშვილი, გიორგი ღარახველიძე, ბორის მეგედი, ვლადიმერ კლიმენკო, კონსტანტინე ოვანესიანი, კონსტანტინე პოტაპოვი, ზურაბ ჩაჩავა, ვლადიმერ ჩერნიშოვი და ირაკლი ჩხიკვაძე. მათ ამ წარმატებებს მწვრთნელ როსტომ ჩაჩავას მეთაურობით მიაღწიეს. იმავე წელს ნოდარ გვახარია საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში გახდა ოლიმპიური თამაშების პირველი პრიზიორი, როცა მელბურნში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ნოდარ გვახარია არის საქართველოს წყალბურთელთაგან ევროპის ჩემპიონატის პირველი მედალოსანი. მან ამ წარმატებას 1958 წელს ბუდაპეშტში საბჭოთა ნაკრების წევრებთან ერთად მიაღწია.

საკავშირო ნაკრების წევრებთან ერთად ნოდარ გვახარია საქართველოდან გახდა პირველი წყალბურთელი, ვინც ახალგაზრდობის საერთაშორისო მეგობრული სპორტული თამაშების (1953 წ. ბუქარესტი) და სტუდენტთა მსოფლიო თამაშების (1954 წ. ბუდაპეშტი) მედლები მოიპოვა. აქედან პირველ ასპარეზობაში იგი ჩემპიონია, მეორეში კი ვერცხლის პრიზიორი.

შემდგომში ნოდარ გვახარია მოთამაშე-მწვრთნელი გახდა და ამგვარად, მან თბილისის დინამოელებთან ერთად 1960 წელს საკავშირო ჩემპიონატში კვლავ ვერცხლის მედალი მოიპოვა.

საქართველოს წყალბურთელთაგან ნოდარ გვახარიას გარდა, საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში ოლიმპიური თამაშების პრიზიორები არიან: ლერი გოგოლაძე, გივი ჩიქვანაია (1960 წ. ვერცხლის მედალი), და მიხეილ გიორგაძე (1982 წ.); მიხეილ გიორგაძე საქართველოს წყალბურთელთაგან პირველია, ვინც ასევე საბჭოთა ნაკრების წევრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ევროპის ჩემპიონატებში გვახარიასა და გიორგაძის გარდა მედალოსნები არიან ლერი გოგოლაძე და გივი ჩიქვანაია (1962 წ. ლაიფციგი, II ადგილი).

რაც შეეხება ქართული გუნდების საერთაშორისო სარბიელზე გამოსვლებს, პირველი ასეთი შეხვედრები გაიმართა 1958 წელს თბილისში. მაშინ საქართველოს დედაქალაქს ეწვია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები. მასთან პირველ შეხვედრაში იმარჯვა თბილისის „დინამომ“ (4:2), მეორეში დამარცხდა თბილისის „ბურევესტნიკი“ (5:6), ბოლოს კი საქართველოს ნაკრებმა მშრალი ანგარიშით (4:0) გაიმარჯვა. მომდევნო წელს თბილისის დინამოელები პირველად გავიდნენ უცხოეთში. მაშინ თბილისის „დინამო“ ბუქარესტში დამარცხდა რუმინეთის ნაკრებთან (3:9), ხოლო იმავე ქვეყნის სტუდენტთა ნაკრებთან ფრედ (4:4) დასრულა შეხვედრა.

საქართველოში ძალიან პოპულარული იყო წყალბურთელთა თბილისის საერთაშორისო ტურნირები. აქ უსპარეზიათ დასავლეთ გერმანიის, უნგრეთის, იტალიის, ესპანეთის, იუგოსლავიის, რუმინეთის, საბერძნეთის, სსრ კავშირის, კუბის, აშშ-ის ნაკრებ გუნდებს. ამ ტურნირებში თბილისის „დინამო“ საქართველოს ნაკრების სახელით გამოდიოდა და ერთხელ II, სამჯერ კი III ადგილები დაიკავა.

საქართველოს წყალბურთელთა ყველა წარმატება დაკავშირებულია თბილისის „დინამოსთან“, რომელმაც, მართალია, საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული ვერ მოიპოვა, მაგრამ საერთო ჯამში 4-ჯერ (1956, 1960, 1962, 1963) დაეუფლა ვერცხლის, 5-ჯერ კი (1958-59, 1964, 1966, 1967) ბრინჯაოს მედალს. ამას გარდა, ეს გუნდი საქართველოს ნაკრების სახელით გახდა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადების სამგზის ვერცხლის (1956, 1963, 1979) და ორგზის მესამე პრიზიორი (1959, 1967). აქედან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1979 წელს მოპოვებული მეორე ადგილი, როდესაც სპარტაკიადის პროგრამით წყალბურთში უცხოეთის, მათ შორის იუგოსლავიის, უნგრეთის, რუმინეთის ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ.

ავთანდილ გურასაშვილი



ასე უტევდა გივი ჩიქვანაია

ვლადიმერ ისელიძის (ცენტრში) კაპიტნობით, ვლადიმერ სანაძის და ჯუმბერ წაქლაურის მწვრთნელობით, საქართველოს ნაკრებმა ყველაზე დიდ წარმატებას მოსკოვში 1979 წელს მიაღწია, როცა საბჭოთა და უცხოელთა გუნდების წინააღმდეგ თამაშით საკავშირო სპარტაკიადაზე მეორე ადგილი დაიკავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუისი და კლიჩკო ცარიელ დარბაზში

ყველაზე ინტელექტუალური ბრძოლა: ჭადრაკისა და მათემატიკის მოყვარული ფილოსოფოსის წინააღმდეგ



ვიტალი კლიჩკო

ხვალღამ ლოს ანჯელესში დიდი კრივია; მსოფლიოს ჩემპიონი მძიმე წონაში ლენოქს ლუისი (40-2-1) თავის საბჭოსა (ვბკ) და ერთსაც რიობ იბოს ქამარს უკრაინელ ვიტალი კლიჩკოსგან დაიცავს.

ლუისი, რომელმაც ერთწლიანი მთქნარებისგან იფხიზლა, წესით კანადელ კირკ ჯონსონს უნდა შეხვედროდა და ოდენ იბო-ს ქამარი შემოეგდო სასწორზე, უფროს კლიჩკოს კი ამ ბრძოლის წინარე ანდერქარდში უნდა ეჩხუბა, მაგრამ ჯონსონი დაშავდა და უკეთესი, მანამდე ჩაშლილი ბრძოლა გაიჩარხა.

წლის ბოლოსთვის ლუისი ასოციაციის (ვბა) გენიოს საშუალოწონოსან ჩემპიონ როი ჯონსთან ჩხუბსაც ეშურება, რომელსაც მძიმე წონის ქამარი დიდად შველის.

ლუისის მწვრთნელი, მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელი ემანუელ სტიუარდი ამბობს: „ერთ წელიწადში ლენოქსი რინგს გამოეთხოვება და კუთვნილ ადგილს დაიჭერს მუჰამედ ალის გვერდით, მანამდე კი ის ნამდვილი ჟინით იბრძოლებს. შარშან ტაისონის დამარცხების შემდეგ მე ვუთხარი ლენოქსს, რომ გადაწყვეტილების მიღების დრო ახლოვდებოდა. ცხოვრება რომ უფრო საინტერესო გამხდარიყო, მას შეეძლო ქამრების დათმობა და მათთვის ხელახლა ბრძოლა, ახლა ვეუბნები, რომ ის მარვინ ჰაგლერივით (საშუალო წონის დიადი ჩემპიონი) უნდა წავიდეს. წავიდეს და აღარ დაბრუნდეს".

ლუისის მეტოქე კი ამჟამად არის ლამის შვიდი ფუტის სიმაღლის უკრაინელი ვიტალი კლიჩკო (32-1), უფროსი გერმანიაში დამკვიდრებულ ორ ძმათაგან.

ლუისს კლიჩკოს სიმაღლისა და ჯანისა არ ეშინია: „ჩემნაირი მას ჯერ არ შეხვედრია. მთელს ამ თავგადასავალს ხუთ რაუნდში ჩავტევ".

ამ დღეებში ლუისს ხშირად ახსენებენ თავის ორად-ორ მარცხს ნოკაუტით — ოლივერ მაკკოლთან (რომელსაც მაშინ სტიუარდი წვრთნიდა) 1994 წელს და ჰასიმ რაჰმანთან 2001 წელს, რომელსაც მატჩ-რევანშში ლუისმა ნოკაუტი დაუბრუნა. „რაჰმანთან ბრძოლა საუკეთესოა, რაც თავს გადაგვხდა", ამბობს სტიუარდი, „დამტკიცდა, რომ მუქთად ვერაფერს მიიღებ".

ზოგადად ლუისი მეტად ზრდილი და კულტურული კაცია, რაც იშვიათია კრივში, მაგრამ ასეთივეა ვიტალი კლიჩკოც, რომელსაც უკრაინული დიპლომიც აქვს და გერმანიაში ფილოსოფიის დოქტორიც არის. უკრაინელი პროფესორი ლეონიდ ვოლკოვი ამბობს, რომ ვიტალი ინტელექტისა და ჯანის ერთადერთი ბუნებრივი ნაზავია, ცხოვრებაში რომ უნახავს.

იმის მიუხედავად, რომ კრივში ახლა უმცროსი ძმა, ვლადიმირი უფრო პირველობს, ვიტალი მაინც უკრაინელთა საყვარელი მოკრივეა. ვოლკოვი ამბობს, რომ მთავარი დარიგება, რაც კლიჩკო უფროსს მისცა ცხოვრებაში, ასე ჟღერს: „ეცადე, რომ თავში არავინ მოგარტყას, ისეთი ტვინი გაქვს, რომ მეცნიერებას ძლიერ სჭირდება".

ჭადრაკისა და მათემატიკის მოყვარული ლუისი და ფილოსოფოსი კლიჩკო ერთმანეთს ლოს ანჯელესის „სტეიპლს სენთერში" შეერკინებიან, ამასობაში კი ამ ქალაქს დავიწყნია დიდი კრივის გემო. აქ საჩემპიონო კრივი ბოლოს 45 წლის წინათ გაიმართა. არადა, ქალაქი გაჟეჟგილია სპორტისა და კინოს ვარსკვლავებით, ფეხბურთით, ბეისბოლით, კალათბურთით. ამასობაში კი ლუის-კლიჩკოს პრესკონფერენციამ იქაური მედიის ნაკლები ყურადღება მიიპყრო, ვიდრე დევიდ ბექჰემის მადრიდში გადასვლამ.



ლენოქს ლუისი კლიჩკო-უფროსს 5 რაუნდს ჰპირდება

ჩვეულებრივ, დიდი კრივის უძვირეს ბილეთებს ნაირგვარი ვარსკვლავები ყიდულობენ ხოლმე და რინგის ახლო რიგებშიც ისინი სხედან, მაგრამ ამ ბრძოლაზე ბევრი 900 და 750-დოლარიანი ბილეთი სალაროში დევს. და საერთოდ, როგორც ბრძოლის თანხის დამდები რას იანგი ამბობს, 16 ათასი ბილეთიდან მხოლოდ ნახევარი გაიყიდება. ეს ყოველივე კი იმის ბრალიცაა, რომ ბრძოლა ფასიანი ტელეკაბელებით კი არა, მუქთად გადაიცემა და კაცს შეუძლია დამატებითი თანხის გადარიცხვის გარეშე უცქიროს რეპორტაჟს. მოკლედ, 12 მილიონიან ქალაქში 12 ათასი კაციც ვერ გროვდება, რომ დარბაზში მივიდეს.

არადა, საინტერესო კრივია.

ალბერტ ხაჩატურიშვილი

ამერიკა მერიონ ჯონსივით ფეხმძიმეა

ის მის მემკვიდრეს ელის



ელისონ ფელიქსი

წლეულს, აგვისტოში, პარიზი მსოფლიოს უჩაუქეს-უყოჩაღეს გოგობიჭებს უმასპინძლებს — მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება.

იქამდე ჯერ კიდევ თვეზე მეტია, მაგრამ სპეციალისტები აქედანვე ვარაუდობენ, რომ პლანეტის უსწრაფეს ამერიკულ წყვილს, ტიმ მონტგომერის და მის მეუღლე მერიონ ჯონსს სასპრინტერო ნეფე-დედოფლის გვირგვინის დათმობა მოუწევთ.

ლაპარაკია ორ ვუნდერკინდზე, ორ კალიფორნიელზე: ელისონ ფელიქსზე და ჯასტინ გატლინზე.

ელისონ ფელიქსი 17 წლისაა და სულ ახლახან დაამთავრა ბაპტისტური სკოლა, სადაც მას „ქათმისფეხება" შეარქვეს. ამ გოგოს ჩამოქნილი და მაღალი ფეხები ისე სწრაფად მუშაობენ, რომ სკოლის დირექციამ მისი მონაცემები ჯერ კიდევ ორი წლის წინ აფრინა აშშ-ის ოლიმპიურ კომიტეტში. ელისონის სანახავად აშშ-ს ყველაზე ცნობილი მწვრთნელები შეწუხდნენ. სულ მალე კი მისი გაწვრთნა ძალიან სახელიანმა კაცმა, ტრევორ გრემმა იკისრა. ვისაც ამ კაცის სახელი არაფერს გეუბნებათ, გეტყვით, რომ 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადაზე გრემი თვით მერიონ ჯონსს წვრთნიდა და მან ხუთი (!) ოლიმპიური ოქრო მოინაგრა.

გრემი ახლა სწორედ ფელიქსის ფეხებიდან აპირებს ოქროს გამოდნობას. აი, რას ამბობს იგი ახლანდელ შეგირდზე: „ის დიდი სპრინტერი გახდება და ყველა შესაძლო ტიტულს მოიპოვებს. როდესაც ელისონი პირველად ვნახე, მივხვდი, რომ მომავალი მერიონ ჯონსი იყო. არა, უკაცრავად, ასაკის კვალობაზე მერიონზე ნიჭიერი და სწრაფი გოგონაა."

გრემმა საქმე არ გააჯანჯლა. ელისონს მალევე გაუფორმა კონტრაქტი და ვუნდერკინდი გოგო ტურნირებზე ატარა.

შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა: ფელიქსი აშშ-ს სამგზის ჩემპიონი და მსოფლიო გრან პრის ორგზის გამარჯვებული გახდა. ერთი სიტყვით, მან მოიგო ყველაფერი, სადაც კი ირბინა. ამასთან, სამი წლის წინ ელისონმა ახალგაზრდებში დაამყარა ახალი სოფლიოს რეკორდი: 200 მეტრი 22,19 წამში გაირბინა. მანამდელი რეკორდი (22,23) მის თანამემამულე ინგერ მილერს ეკუთვნოდა.

ალბათ საინტერესოა, რას ფიქრობს ელისონი თავის მომავალზე: „ვიცი, შემიძლია პლანეტის უსწრაფესი ქალი გავხდე, მაგრამ იმასაც ვაცნობიერებ, რომ ეს დიდი შრომისა და ჯაფის გარეშე შეუძლებელია. ძალიან მწყდება გული, რომ სწავლას იმდენ დროს ვერ ვუთმობ, რამდენიც საჭიროა, მაგრამ რახან სარბენ ბილიკზე გავედი, მზად ვარ, მსხვერპლი გავიღო და წიგნების კითხვის მაგივრად ტრევორს მოვუსმინო."

სხვათა შორის, ელისონის უფროსი ძმა, 19 წლის სპრინტერი მარლინი აშშ-ს ჩემპიონია ახალგაზრდებს შორის. დის დარად, იგი 100 და 200 მეტრზე დარბის.

ელისონზე თხრობა მისი მსოფლიოს ჩემპიონობის შანსებით დავასრულოთ. შანსები კი მას მართლაც დიდი აქვს. თავად ხომ ძალიან სწრაფად დარბის და თან, პარიზში არ იქნება ელისონის მთავარი კონკურენტი და კერპი, მერიონ ჯონსი. იგი ორსულადაა და სექტემბერში ბავშვს ელის.

ჯონსის არყოფნაში მის მეუღლეს, მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონსა და რეკორდსმენ ტიმ მონტგომერის მამობაზე ფიქრის გარდა სხვა თავსატეხიც ექნება. მეუღლის დარად, მასაც გამოუჩნდა კონკურენტი.

ეს ყოჩაღი ბიჭი ჯასტინ გატლინია. იგი 21 წლის ჯანიანი ჯეელია და მასაც ტრევორ გრემი ავარჯიშებს. ჯასტინი აშშ-ს ოთხგზის ჩემპიონია 200 მეტრზე რბენაში და მსოფლიო გრან პრის სამი ეტაპი მოუგია. მასვე ეკუთვნის 200-მეტრიან სპრინტერობაში მსოფლიოში მესამე დრო — 19,86 წამი.

„ჯასტინს მეტი შეუძლია და ამას მსოფლიოს ჩემპიონატზე დაამტკიცებს. ახლა მის ორგანიზმს ვუფრთხილდები, მეშინია, პარიზამდე არ გადაიწვას და დიდად არ ვტვირთავ, პარიზში კი თქვენ ნამდვილ ვუნდერკინდს იხილავთ. ამას გპირდებით" — ეს გრემის სიტყვებია და ძნელია, ამ კაცის ნათქვამში ეჭვი შეიტანო.

გატლინი ახლა მშობლიურ კალიფორნიაში ვარჯიშობს. იგი რეპის დიდი მოყვარულია და ლოს ანჯელესის რამდენიმე რეპჯგუფთან მეგობრობს.

ვისაც ამ ვუნდერკინდის ვარჯიშების უნახავს, ამბობს რომ ჯასტინი შეუპოვარი და მტკიცე ხასიათის ადამიანია. მეტიც, ზოგჯერ ისე რისკავს, ბეწვის ხიდზე გადის. ეს კი მის ვარჯიშებში აისახება, სადაც ჯასტინი ზომაზე მეტ ენერგიულობას იჩენს და ძალიან ახლოსაა ტრავმასთან. „მე მიყვარს რისკი. ამ დროს სისხლი მიდუღს. ეს ჩემი ნარკოტიკია, რომლის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია." — ამბობს გატლინი.

გატლინის კერპი მორის გრინია. ის გრინი, რომელიც ჯასტინს სერიოზულ მეტოქედ მიიჩნევს და დიდ პატივს სცემს თავისზე ბევრად უმცროსს, მაგრამ ძალიან ამბიციურ ჯეელს.

რაკი გრინზე ჩამოვარდა სიტყვა, ბარემ აქვე ვთქვათ, რომ იგი მსოფლიოს ჩემპიონატზე მხოლოდ 200 მეტრზე ირბენს.

ბაჩო სვანიძე



ბრაზილია — კამერუნი. რონალდინიო (მარცხნივ) ამოდ დაშვრა, გამარჯვება აფრიკელებს დარჩათ

2003 წლის ფიფას კონფედერაციის თასი

B ჯგუფი. I ტური

თურქეთი 2:1 აშშ	ბრაზილია 0:1 კამერუნი

ფინეთი

VIII ტური

ჰიკ 5:0 კტა

მიუპა 1:0 კუოპიო

ჰაამენლინა 1:0 ინტერი

ჰოლანდია

პლეი ოფი. VI ტური

ექსელსიორი 2:1 ემენი

ვოლენდამი 3:1 ჰერაკლესი

ზვოლე 4:1 ჰელმონდი

იგლსი 0:1 დენ ბოსხი

ბენტლი კოშკთან

ეს პარიზია, ეს კიდევ „ბენტლი“, რომელმაც ლე მანის 24-საათიანი რბოლა მოიგო ძველებურ ლამაზმან-მანქანათა შორის. „ბენტლი“ ბრიტანული მანქანაა და აღსანიშნავიც ეს არის, რომ სპორტულ მანქანათა რბოლა ბრიტანულ მოდელს 1930 წლის შემდეგ არ მოუგია.

REUTERS პარიზიდან



REUTERS ნიონიდან

დამსახურება

შვეიცარიის ველოტურს ორი დღის თავზე ლიდერობს ყაზახი ალექსანდრ ვინოკუროვი. ნიონის პოდიუმზე დამსახურებული ეს კოცნები მისთვის შეჯიბრის მეორე, 175-კილომეტრიანი ეტაპის მოგებისთვის მიძღვნილი საჩუქარია.

REUTERS მადრიდიდან



სკოლა ბრუკლინისთვის

მადრიდის მდიდრულ სამეზობლო მორალეხაში მდებარე კერძო ინგლისურ კოლეჯ „რანიმედს“ სწორედ რომ გუშინ ფოტოგრაფები მიადგნენ და გარეთ ფირებზე ალბეჭდეს. მიზეზი ერთია: დევიდ ბექემი მადრიდის „რეალში“ გადავიდა და სწორედ ამ კოლეჯში დაუბეჭვებია ადგილი თავისი უფროსი ვაჟის, ბრუკლინისთვის.

მოიცალა

საშაბათო კრივის წინ მსოფლიოს მძიმე წონის ჩემპიონ ლენოქს ლუისს, რომელიც ლოს ანჯელესის „სტეიპლს სენთერში“ ვიტალი კლიჩკოს უნდა ეკრივოს, ბეისბოლისთვისაც მოუცლია და ტრადიციული ტყორცნით გაუხსნია ელეის „დოჯერსისა“ და „სან ფრანცისკო ჯაიანთსის“ თამაში.



REUTERS ლოს ანჯელესიდან



REUTERS ბაღდადიდან

დოლი ბაღდადში

ბაღდადში, ამურიას უბანში, ძველ იპოდრომზე დოლი გაიმართა. 90-იანი წლების დასაწყისში, როცა სადამ ჰუსეინს შიიტების გულის მოგება დასჭირდა, დოლი აკრძალა, აქამდა, ისლამი ფსონის დადებას კრძალავსო. 7 წლის თავზე რბოლები არაოფიციალურად აღადგინა სადამის ვაჟმა უდაიმ, რომელსაც გართობანი უყვარდა და ოლიმპიური კომიტეტის თავკაციც იყო.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაძეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვამაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge